„ბალტიკის“ კურსი—მშვიდობის კურსია, მას მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს

ახალი სვანეთი—საქართველოს თვალწარმტაცი კუთხე

საბჭოთა ოლიმპიელებმა
მთელი მსოფლიო
განაცვიფრეს,
მათ ღირსეულად
დაიმსახურეს
საბჭოთა მთავრობის
ჯილდოები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 217 (11828)
შაბათი, 17 სექტემბერი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის

შეხვედრა გამარჯვებულებთან

დარბაზობა მე-17 ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად

15 სექტემბერს სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა დარბაზობა გამართეს XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ფ. რ. კოზლოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ნ. კოსიგინს, რომლებიც ესტუმრნენ სპორტსმენებს.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მოსკოვის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი.

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა წარმოთქვა სადღეგრძელო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორის და სულის ჩამდგმელისა, რომელმაც ყველა პირობები შექმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის აყვავებისათვის ჩვენს ქვეყანაში, აღდეგრძელა ლენინური ცენტრალური კომიტეტი და ლენინის ერთგული მოწაფე, მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის გამოჩენილი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

ოლიმპიელებს გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. რ. მირონოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. ევჩენკო, სრულიად რუსეთის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე კ. ვ. კრუპინი, უკრაინის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. გ. ნი[illegible]ონოვი. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რომში გამართული დიდი და დაძაბული სპორტული შეჯიბრების შედეგი ჩვენს ქვეყანას განუმტკიცებს სრულ და ამასთანავე [illegible] უფლებას — იწოდებოდეს მსოფლიოს წამყვან სპორტულ სახელმწიფოდ. ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად აფასებს ამ გამარჯვებას მსოფლიოს ყველაზე ძლიერ და ამტან სპორტსმენებზე. სსრ კავშირის სპორტსმენთა გუნდმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გმირმა ოლიმპიელებმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბორის შახლინმა, იური ვლასოვმა, ვერა კრეპკინამ, არკადი ვორობიოვმა მადლობა გადაუხადეს საბჭოთა ხალხს, სამშობლოს, ზრუნვისა და ყურადღებისათვის. მათ აღუთქვეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ახალ სპორტულ ბრძოლებში კიდევ უფრო მაღლა ასწიონ საბჭოთა სპორტის დროშა.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. რ. კოზლოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მან მხურვალედ მიულოცა სპორტსმენებს დიდი გამარჯვება ოლიმპიურ ასპარეზობაზე. დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში ამხ. ფ. რ. კოზლოვმა განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება — ორდენებითა და მედლებით დააჯილდოონ სპორტსმენები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი XVII ზაფხულისა და VIII ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობებზე. ამხანაგმა ფ. რ. კოზლოვმა ყველა სპორტსმენს უსურვა ახალი დიდი მიღწევები. (საქდესი).

მათ ასახელეს ჩვენი სამშობლო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

წარმატებითი გამოსვლებისათვის ზაფხულის XVII და ზამთრის VIII ოლიმპიურ ასპარეზობებში, აგრეთვე თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტსმენთა და მწვრთნელთა დიდი ჯგუფი დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: პ. გ. ბოლოტნიკოვი, ი. პ. ვლასოვი, ე. რ. გრიშინი, ვ. ა. კაპიტონოვი, ვ. ს. კრეპკინა, თ. ნ. პრესი, ა. ა. სერედინა, რ. მ. შავლაყაძე, ბ. ა. შახლინი, ლ. ი. იაშინი

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 32 სპორტსმენი და მწვრთნელი, რომელთა შორის არიან: პ. გ. ასტახოვა, ი. გ. ბოგდანი, ვ. გ. ბუშუევი, ვ. ს. გოლუბნიჩი, ო. გ. გრიგორიევი, მ. ი. გუსაკოვი, ა. პ. გუშჩინი, ვ. ფ. ჟდანოვიჩი, ვ. ნ. ივანოვი, ო. ნ. კარავაევი, ვ. ი. კოსიჩკინი, ა. პ. კურინოვი, ე. ა. ოზოლინა, ვ. ვ. რუდენკოვი, ლ. პ. სკობლიკოვა, ბ. ა. სტენინი, ს. ი. ფილატოვი, ვ. ს. ციბულენკო, ვ. ნ. შამბურკინი, ლ. ი. შევცოვა, მ. ტ. შუბინა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 107 კაცი, მათ შორის ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან: ა. ვ. აზარიანი, ვ. ი. ალექსეევი, ვ. ვ. ბორეიკო, გ. ვ. ვაგანოვი, რ. ე. ვარგაშკინი, ა. ნ. ვორობიოვი, ლ. გ. გეიშტორი, ო. ს. გოლოვანოვი, კ. ი. გუსევა, ა. ს. დესიატჩიკოვი, ვ. ა. ზუბკოვი, ლ. გ. ივანოვა, ა. გ. ქორიძე, ვ. დ. კუზნეცოვი, ლ. ს. ლატინინა, ტ. ფ. ლომაკინი, ს. ლ. მაკარენკო, პ. ი. მშვენიერაძე, ე. გ. მინაევი, თ. ა. პინეგინი, ნ. ა. პონომარიოვა, ი. ნ. პრესი, ვ. კ. რასტვოროვა, ვ. ს. სტენინა, ი. ფ. სისიკინი, მ. ნ. ტალი, ი. რ. ჰასანოვი, თ. ვ. შუტკოვი.

მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებულია 168 სპორტსმენი და მწვრთნელი, რომლებმაც დიდი სპორტული გამარჯვებებით ასახელეს ჩვენი სამშობლო.

მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

15 სექტემბერს ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის დაკრძალვაში.

დელეგაციაში შედიოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ლ. ი ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი დ. თ. უსტინოვი, რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ს. გ. ლაპინი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. ზ. არუშანიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

შემხვედრთა შორის აეროდრომზე იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი გ. შნაიდერი. (საქდესი).

კიდევ ერთი დღე გზაში

ტურბოელექტრომავალი „ბალტიკა“, 16 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება: ახლა ხომალდის დროით დილის 10 საათია, მოსკოვში კი უკვე საღამოს 5 საათია. დღეს „ბალტიკის“ მგზავრებმა უკანასკნელად გადმოსწიეს თავიანთი საათები კიდევ ერთი საათით უკან. ახლა ხომალდზე ნიუ-იორკის დროა. 7 დღეში „ბალტიკამ“ გაიარა 3.138 მილი, ნიუ-იორკამდე რჩება 1.145. გუშინ ჩვენ ვიუწყებოდით, კარგი მზიანი დარიაო, მაგრამ ღამე ამინდი კვლავ შეიცვალა. დღეს, თუმცა თბილა, მაგრამ ცა იღრუბლება, ხანდახან წვიმს, ქარი 6 ბალს აღწევს, და შესამჩნევად გაძლიერდა ტალღა. მაგრამ ყველანი უკვე შეეჩვივნენ ოკეანეში მოგზაურობას და კარგად გრძნობენ თავს. „ბალტიკაზე“ ჩვეულებრივი შრომითი ცხოვრებაა.

რადიოსადგური განუწყვეტლივ იღებს სხვადასხვა ცნობას საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბების შესახებ. საბჭოთა კავშირიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მრავალჯერ უსურვეს წარმატებანი მუშაობაში დელეგაციებს, რომლებიც მიდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. დღეს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა ჰანოიში ამხ. ხო ში მინს. დეპეშაში ნათქვამია: „მივიღე თქვენი მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები. გულითად მადლობას გიძღვნით, ძვირფასო ხო ში მინ, და ჩემი მხრივ გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობაში. წარმატებებს, ბედნიერებასა და აყვავებას ვუსურვებ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოძმე ხალხს. ამხანაგებმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა, ტოდორ ჟივკოვმა, იანოშ კადარმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და კ. ტ. მაზუროვმა მთხოვეს გადმოგცეთ გულითადი სალამი და ასეთივე კეთილი სურვილები. ნ. ხრუშჩოვი“.



რამდენიმე თვეც, და ქართველი ხალხი იდღესასწაულებს ღირსშესანიშნავ ეროვნულ დღეს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავს.

ჩვენი მშრომელი, გამრჯე ადამიანები ახალ-ახალ მიღწევებს უძღვნიან საყვარელ სამშობლოს. დღეს ყველაზე „შუბლმაგარ სკეპტიკოსსაც“ არ ძალუძს ალმაცერად შეხედოს ჩვენი მამულიშვილური შრომითა და ბრძოლით მონაგრებულ სიკეთეს, დოვლათსა და ბარაქას, ჩვენს აღმშენებლობასა და წინსვლას.

წავიდეს, მოიაროს ჩვენი მთა და ბარი, ჩვენი ქალაქები და დაბები, სოფლები თუ ახალშენები და დაფიქრდეს, რა მისცა ორმოცმა საბჭოთა წელიწადმა ჩვენს ცა-ფირუზსა და ხმელეთ-ზურმუხტ რესპუბლიკას.

გაზეთი „კომუნისტი“ დღეიდან იწყებს საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი მასალების გამოქვეყნებას. ამ ნარკვევებსა და რეპორტაჟებში, მოთხრობებსა და კორესპონდენციებში მკითხველი თვალნათლივ დაინახავს, თუ რა მანძილი გამოგვივლია ახალი ცხოვრების პირველი დღიდან, რომელზეც პოეტს უთქვამს, რა შორი გზაა, რა დაღმართიაო.

დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ნარკვევს (იხილეთ მესამე გვერდზე), რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის სვანეთის ცხოვრებაზე.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ლატალელ კოლმეურნეებს, რომლებსაც გაუმართავთ ლხინი. ცეკვის ეშხში შესულ მოხუცი კოსტა გვიჩანიც.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ბატონ რ. სმიტის—ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ფორუმის პრეზიდენტის წერილზე

რ. სმიტმა მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს თხოვნით — ლექცია წაიკითხოს ბოსტონ-კემბრიჯის რაიონის მთელი რიგი უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მსმენელთა და მასწავლებელთა წინაშე.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ბატონ რ. სმიტის წერილზე.

* * *

პატივცემულო ბატონო სმიტ!

გულწრფელად გმადლობთ ყურადღებისა და მიწვევისათვის ვინახულო ჰარვარდის უნივერსიტეტი და იქ ლექცია წავიკითხო. ასეთი ხასიათის გამოსვლა, როგორც ჩანს, სასარგებლო იქნებოდა ჩვენს ხალხებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისათვის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით. პირადი კონტაქტები, როგორც ცნობილია, ხელს უწყობენ იმ ძირითადი პრობლემების საუკეთესო გადაჭრას, რომლებიც დასახულია კაცობრიობის წინაშე, — „ცივი ომის“ ლიკვიდაციას და ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის პირობების შექმნას. ასეთი მტკიცე მშვიდობა შესაძლებელია საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისას, ყოვლისად საგულდაგულო საერთაშორისო კონტროლისას.

სამწუხაროდ, არა მაქვს შესაძლებლობა შევასრულო თქვენი თხოვნა, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით მოკლებული ვარ შესაძლებლობას გავცილდე მანჰეტენის რაიონის ფარგლებს ნიუ-იორკში. არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის, ბატონო სმიტ, ეს გადაწყვეტილება, მაგრამ უკვე გზაში ნიუ-იორკისაკენ რადიოთი შევიტყვე, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა წამართვა შესაძლებლობა ვისარგებლო ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული სახელმწიფოს თავისუფლებებით.

ყოველივე ეს საკმაოდ უცნაურად ჩანს, რადგან მე ვმეთაურობ საბჭოთა დელეგაციას და მივემგზავრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, რომლის წინაშე დასახულია როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისე მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები და, უწინარეს ყოვლისა, საკითხთა საკითხი — განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის საჭიროება. საუკეთესო ადგილი ამ საკითხის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირი მიესალმება ყველა ქვეყანას, რომლებიც უმაღლესი რანგის თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან გენერალურ ასამბლეაში, იმიტომ რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა საყოველთაო და სრული განიარაღება, ჩვენ მიგვაჩნია, ყველაზე უფრო ადვილია გადაიჭრას სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, — გენერალური ასამბლეის მუშაობაში ხომ მონაწილეობა უნდა მიიღონ პასუხისმგებელმა, თავისი ხალხის მაღალი ნდობითა და რწმუნებულებით მოსილმა წარმომადგენლებმა.

მაგრამ ყველა ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების ასეთ გაგებას ჯერჯერობით ვერ ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ. ჩვენმა მთავრობამ, რომელიც დიდად აფასებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რწმუნება მისცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მეთაურობა გაუწიოს საბჭოთა დელეგაციას. როგორც ჩანს, ეს არ მოეწონა ზოგიერთ წრეს თქვენს ქვეყანაში. ისინი აპირებენ ჩემთვის დააწესონ დისკრიმინაციული პირობები გენერალურ ასამბლეაში ყოფნის დროს.

მართალია, ჩემი ჩასვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოკიდებული არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზე ან რომელიმე სხვა მთავრობაზე იმიტომ, რომ მე მივდივარ საერთაშორისო ორგანიზაციის სხდომაზე, რომელშიც შედის მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირიც.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დადგება საუკეთესო დრო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, ამოვა ბოლოს მზე, გაიფანტება შავბნელი ღრუბლები და ყველა ადამიანი გაიგებს ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის საჭიროებას. ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც თავის დროზე შეიგნებს რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ჩვენი ურთიერთობა და გაერთიანდეს ღონისძიებანი მთავარი მიზნის — ყველა სახელმწიფოს შორის უსასტიკესი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად. ამით შეიქმნება ყველა ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ღრმად მწამს, რომ დადგება ასეთი დრო, როცა გაუმჯობესდება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, უფრო ფართო იქნება კონტაქტი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ისე, როგორც ყველა ქვეყანას შორის.

პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
1960 წლის 12 სექტემბერი.
ტურბოელექტრომავალი „ბალტიკა“.

უპატაკებენ სამშობლოს!

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებმა კვლავ ახალი წარმატება მოიპოვეს. გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის დარგში დამატებით ნაკისრი ვალდებულება. სულ რაიონში 15 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 5.872 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.400 ტონისა და მთლიანად ნაკისრი 5.870 ტონისა. ეს მაჩვენებელი 413 ტონით მეტია იმაზე, რაც გასული წლის ამავე პერიოდში იყო.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს ხაბუმის ლენინის სახელობის და კალინინის სახელობის, ნაფიჩხუს მარქსის სახელობის, კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებმა, ზუმის კოლმეურნეობა „საქართველომ“ და ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნათელა შენგელიამ უკვე მოკრიფა 10.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც დამატებით ნაკისრ ვალდებულებას 500 კილოგრამით აღემატება. ზუმელმა მარიამ ხორავამ მოკრიფა 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სასახელოდ იშრომეს ნაფიჩხოველმა თათუშა გოგუამ, ხაბუმელმა ჟუჟუნა შენგელიამ, ჩხოროწყუელმა დუშა ქარჩავამ და სხვებმა.

რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს კიდევ მოკრიფონ 50.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თბილისში

16 სექტემბერს თბილისს ჩამოვიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ე. დროჟნიაკი და მისი თანმხლები პასუხისმგებელი მუშაკები პოლონეთის ბანკისა. ისინი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოწვევით. მათთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ვორობიოვი.

თბილისის აეროპორტში პოლონელ ამხანაგებს შეხვდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველი ვ. ვ. კაჭარავა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. ტრაპაიძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველის მოადგილეები ნ. ზ. შავაძე და ა. გ. თოდუა, რესპუბლიკის ბანკის ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ჩამოსვლის დღეს პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კონტორას, გაეცნენ თავიანთი ქართველი კოლეგების საქმიანობას.

პოლონელი სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, წავიდნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს ძველი ქართული კულტურის ძეგლები. (საქდესი).

გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ე. დროჟნიაკი

16 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ე. დროჟნიაკი და პოლონეთის ბანკის პასუხისმგებელი მუშაკები — ს. მიხალსკი და ზ. მაშიკი, რომელნიც მას ახლავან.

დარბაზობის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ვორობიოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრი ს. ე. პლეშაკოვი და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველი ვ. ვ. კაჭარავა. (საქდესი).

უიმედობა და გულგატეხილობა ვაშინგტონში

ვაშინგტონი. საქდესის კორესპონდენტი მ. საგატელიანი იწერება: რაც უფრო უახლოვდება „ბალტიკა“ თავისი ისტორიული რეისით ნიუ-იორკს, ამერიკის დედაქალაქში ძლიერდება უიმედობა და გულგატეხილობა. ვაშინგტონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი XV სესიის პერსპექტივები, რომელიც 20 სექტემბერს იხსნება, მეტად შავბნელად მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ასეთი განწყობილების ძირითადი მიზეზი, ამერიკის პრესის აზრით, ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიის ახლანდელმა პოზიციამ განიარაღების საკითხში და მთელმა შემდეგმა მოქმედებამ ამ დარგში, რომ აღარა ვთქვათ რა ამერიკის დაზვერვის საქმეებზე, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოაშკარავდა და რომლებიც საშიშია მშვიდობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატები, განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე.

ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი უ. ლიპმანი სტატიაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“, საკმაოდ მოსწრებულად ადარებს განწყობილებას, რომელიც გაბატონებულია ამერიკის დედაქალაქში ნ. ს. ხრუშჩოვის ნიუ-იორკს ჩასვლის წინ, იმას, თუ ამერიკის ატლანტის სანაპიროს მცხოვრებლები როგორ მოელოდნენ ამ დღეებში გრიგალის მოახლოებას, რომელსაც მეტეოროლოგებმა პირობითი სახელი „დონა“ უწოდეს.

„იქნება ძალიან ძლიერი ქარი, რომელიც კარგს არაფერს მოგვიტანს, — წერს ლიპმანი. — ამის მოლოდინში აქ ხურავენ ფანჯრების დარაბებს და ემზადებიან სახლში ყველგან ჩააქრონ შუქი“.

ლიპმანი თავის სტატიაში წუხს იმას, რომ სსრ კავშირის პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი საკითხის შესახებ, რომლებიც უნდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ, პოზიცია, რომელიც გამაგრებულია კონკრეტული ფაქტებით, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციისაგან განსხვავებით გასაგები და მიმზიდველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გაცილებით მეტი სახელმწიფოსათვის, ვიდრე ეს იყო წინათ, და უწინარეს ყოვლისა აფრიკის ახალი სახელმწიფოების საგრძნობი ჯგუფისათვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად უნდა მიიღონ მომავალ სესიაზე.

ლიპმანის მთელი სტატია გამსჭვალულია შეშფოთებით იმ ჩიხის გამო, რომელშიც ამერიკა მოამწყვდია მისი ახლანდელი ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკამ.

ამჟამად უკვე სავსებით ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების სასოწარკვეთილი ცდები — ისე მოეწყოთ, რომ მხოლოდ ნ. ს. ხრუშჩოვი და სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნების ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ იმ მთავრობათა მეთაურები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებდნენ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში, სავსებით და საბოლოოდ ჩაიფუშა.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ დიპლომატიური მიმომხილველი მარდერი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს გაუცრუვდა იმის იმედი, რომ შეძლებდა გენერალური ასამბლეის მომავალ სესიას ისე მოჰკიდებოდა, როგორც ჩვეულებრივსა და „ყოველდღიურს“.

ამერიკის პრესის მნიშვნელოვან ნაწილში მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებამ შეზღუდოს ნიუ-იორკში ნ. ს. ხრუშჩოვისა და სხვა ქვეყნების მთელი რიგი დელეგაციების, მათ შორის კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს მიმოსვლის თავისუფლება. ბევრი აქაური გაზეთი უარს ამბობს დაიჯეროს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ თავისი თვითნებური გადაწყვეტილების გასამართლებლად მოყვანილი ვერსია იმის შესახებ, რომ „საჭიროა უშიშროების უზრუნველყოფა“, უწოდებს რა ამ ნაბიჯს“ გაბოროტებისა და უძლურების წვრილმან ჟესტს“ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხრივ.

უდიდესი ხელოვანი

უძველესი რუსეთის შესანიშნავი ფერმწერის ანდრია რუბლიოვის დაბადების 600 წლისთავს მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ. ჩვენს ქვეყანაში „რუბლიოვის დღეები“ რუსული ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

15 სექტემბერს კრემლის თეატრში გაიმართა ანდრია რუბლიოვის დაბადების 600 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომა მოიწვიეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა და სამხატვრო აკადემიამ.

საზეიმო საღამო გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. იოგანსონმა მან აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც რუბლიოვის მემკვიდრეობას აქვს რუსული ხელოვნების განვითარებისათვის.

საზეიმო საღამოზე გამოვიდნენ აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ვ. დილი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივანი ს. გერასიმოვი, მოხსენება „ანდრია რუბლიოვის 600 წლის იუბილე“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ალპატოვმა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ დამსწრეებს უჩვენეს ფილმი ანდრია რუბლიოვის შესახებ, გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფასების მასშტაბის შეცვლასთან და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლასთან.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოებისა და ტრესტების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ს. ტრაპაიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. ნ. ლავითაშვილი, ვაჭრობის მინისტრი მ. ბ. ღვინჯილია, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე, ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი კ. ი. ბარიგაანი, მშენებლობის მინისტრი ს. ს. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ვ. ლორთქიფანიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ო. დ. გოცირიძე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია წარმატებით შესრულდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის შესახებ.

ძირითადად გადაანგარიშებულია და უახლოეს ხანში გამოვა სამრეწველო და სასურსათო საქონლის ახალი საბითუმო და საცალო ფასების პრეისკურანტები, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების ტარიფები: ბინისა და კომუნალური მომსახურების ქირა, ყველა სახეობის ტრანსპორტით მგზავრობის, კავშირგაბმულობის მომსახურების, თეატრის, კინოს ბილეთების ფასები და სხვა. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ამთავრებენ პენსიების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარების ახალ ფულად ერთეულზე გადაანგარიშებას. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო ამთავრებს სადაზღვევო ანაზღაურებისა და გადასახდელთა გადაანგარიშებას. სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველომ დაიწყო მზადება მოსახლეობის ანაბრების გადაანგარიშებისათვის. ყოველი მეანაბრე მიიღებს ჩანართ ფურცელს, რომელშიც მოყვანილი ფულადი დანაზოგის გადაანგარიშების წესი და აღნიშნულია, რომ საჭირო არ არის მეანაბრე მივიდეს შემნახველ სალაროში სპეციალურად თავისი ანაბრის გადასაანგარიშებლად.

ბევრმა საწარმომ, მშენებლობამ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, უწყებამ დაამთავრა სატარიფო განაკვეთების, სანარდო ფასდების, სარგოების, ხელფასის, ჰონორარის, პრემიისა და შრომის სხვა სახეობათა ანაზღაურების გადაანგარიშება.

განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი სავაჭრო, ტელეფონის ავტომატებისა და ტაქსომეტრების ხელახლა მოსაწყობად.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებანი. მთელი რიგი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ შესდგომიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადაანგარიშებას. ეს მუშაობა კი მთლიანად უნდა დამთავრდეს მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე — 1960 წლის 1 ოქტომბერს. საწარმოთა, დაწესებულებათა, უწყებათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავი აარიდა იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მზადებას, რომლებიც დაკავშირებულია ფასების მასშტაბის შეცვლასა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლასთან.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოსაც კი არ ჰქონდა მონაცემები თავის იმ საქვეუწყებო საწარმოთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც შეუდგნენ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადაანგარიშებას, მაშინ როცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მუშაობა მთლიანად უნდა დამთავრდეს 1 ოქტომბერს. სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს 55 საქვეუწყებო საწარმოდან 9 სექტემბერს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადაანგარიშება დაამთავრა მხოლოდ ხუთმა საწარმომ.

ფასების მასშტაბის შეცვლა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლა ხორციელდება ჩვენი ქვეყნის დიდი ეკონომიური აღმავლობის პირობებში, იგი კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა შედეგია. ეს გადაწყვეტილება, როგორც აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, ხელს შეუწყობს ჩვენი ფულის სისტემის შემდგომ სრულყოფას, აამაღლებს საბჭოთა მანეთის მყიდველობით უნარს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას.

მიმდინარეობს მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ამ ღონისძიების განხორციელებით არ დაზარალდება არც მოსახლეობა, არც სახელმწიფო, რომ იქმნება მოხერხებული პირობები ანგარიშსწორებისათვის, რომ მოსახლეობის შემოსავლის რეალური ღირებულება სავსებით შენარჩუნებულ იქნება და სრულიადაც არ გადიდდება საქონლის ფასები და მოსახლეობის მომსახურების ფასები. მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ზოგ რაიონში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. ნაკლებად იყენებენ პოლიტიკური აგიტაციის ასეთ ფორმებს როგორიც არის ლექციები, მოხსენებები, საუბრები.

თათბირმა საჭიროდ ცნო გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და საფინანსო ორგანოების კონტროლი იმისადმი, რომ სწორად და დროზე გადაანგარიშებულ იქნას განაკვეთები, სანარდო ფასდება, სარგოები, პრემიები, ჰონორარი და შრომის სხვა სახეობის ანაზღაურება საქვეუწყებო საწარმოებში, მშენებლობებზე, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, დადგენილ ვადაზე გააცნონ იგი თვითეულ მუშასა და მოსამსახურეს. საჭიროა დაჩქარდეს სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება სადირექტივო მითითებათა შესაბამისად.

თათბირმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა, უწყებებმა და სამინისტროებმა შეამოწმონ და განიხილონ ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა.

საოლქო, საქალაქო, რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ფართო მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა მოსახლეობის ყველა ფენაში ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის ღონისძიებათა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ, ამასთანავე გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა ფორმები.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქციებმა, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა ფართოდ უნდა გააშუქონ მზადება ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად, განუმარტონ მოსახლეობას ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისათვის, საბჭოთა ადამიანების ინტერესებისათვის.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. დ. ღუმბაძემ. (საქტაგი).

დაგელოცოს მარჯვენა!

მთიელი დოსტაქარი

ყუროს მთის ქვემოთ, სათიბებში, რომლებიც ათასნაირი ყვავილებით იყო მორთულ-მოხატული, სასიამოვნო სახის მოხუცი კაცი სწრაფად ალევებდა ცელს. ეტყობოდა ჩქარობდა, რადგან საავდრო ღრუბლები მოსდებოდა ცისკიდურს და შეიძლებოდა მალე წვიმა წამოსულიყო.

შუადღე იქნებოდა, როცა მოხუცს ავტომანქანის გუგუნი შემოესმა. მან თვალი მოიჩრდილა და ქვემოთ გახედა. ავტომანქანა ქვიან აღმართებში მოიკვლევდა გზას. მერე მოსახვევთან შეჩერდა. — რა ვქნა, ვინ უნდა იყოს, — გაიფიქრა მან. მანქანის კარი გაიღო და იქიდან საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა გადმოვიდა, რომელმაც შორიდანვე ქუდი მოუხადა მოხუცს:

— გამარჯობა, ძია ნასყიდავ!

— იცოცხლე და გაიხარე, — უპასუხა ნასყიდამ და ცოტა ხნის შემდეგ იმ ახალგაზრდაში ის „დოხტური" შეიცნო, რომელმაც მას ორი წლის წინათ ოპერაცია გაუკეთა.

— რასა იქ, როგორა ხარ?

— შენი თავი გვიცოცხლოს, შვილო, ღმერთმა.

— ჯანზე ხომ კარგად ხარ? — ეუბნება ალექსი საბაური მოხუცს.
ფოტო მ. როსტიაშვილისა.

* * *

— ჯანზე კარგადა ხარ, განა?

— მაშ, კაცო, მაშ...

— ალბათ შვილიშვილები გალაღებენ.

— მაშ, კაცო... — მოხევურად უქცევდა მოხუცი.

ასე გულიანად მოიკითხა თავისი ყოფილი პაციენტი, ოთხმოც წელს მიღწეული ნასყიდა ჯამარჯაშვილი ყაზბეგის რაიონის მთავარმა ქირურგმა ალექსი საბაურმა.

ეკუთვნოდა კიდეც. ორი წლის წინათ სწორედ ალექსიმ გამოსტაცა იგი სიკვდილს. ნასყიდა ჯამარჯაშვილი მაშინ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს:

— მწვავე მუცელი — ასეთი დიაგნოზი იყო დასმული, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ავადმყოფობის დაწყებიდან უკვე ოთხი დღე გასულიყო და პაციენტის გადარჩენა არავის სჯეროდა.

დოსტაქრის მაღალი ოსტატობა და დიდი გულისხმიერება გამოიჩინა მაშინ ალექსიმ. მთელი ღამეები მოხუცს თავს დასტრიალებდა. გავიდა დრო, ავადმყოფმა მოიკეთა და, ბოლოს, ჯანმრთელი დაუბრუნდა საკუთარ კერას. ეს მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდია იმ საინტერესო და მეტისმეტად საპასუხისმგებლო საქმიანობისა, რასაც ახალგაზრდა ქირურგი თავის მშობლიურ რაიონში ეწევა.

ადამიანის ცხოვრებაში ხომ არის ისეთი წუთი, რომლის დავიწყება მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეიძლება. რომელი ჩვენგანის გულიდან ამოიშლება, მაგალითად, სკოლაში გატარებული პირველი დღე, პირველი სიყვარული, ანდა პირველი ნაბიჯი იმ საქმეში, რომელიც ჩვენი ცხოვრების მიზნად აგვირჩევია.

ალექსი საბაურისათვის მარად დაუვიწყარია მის მიერ გაკეთებული პირველი ოპერაცია.

ეს მოხდა ათიოდე წლის წინათ. მაშინ ალექსი მთლად ახალგაზრდა იყო. ისედაც გამხდარსა და ტანით პატარას, მთლად ბავშვის შესახედაობა ჰქონდა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მანგლისის საექიმო უბანში გაეგზავნათ სამუშაოდ და, რა დასამალავია, მაშინ ადგილობრივი მოსახლეობა მას მაინცდამაინც როდი ენდობოდა.

მანგლისში ჩასვლის მეშვიდე დღეს ალექსი გაცივდა და თვითონ გახდა სამკურნალო, ახალგაზრდა მკურნალი სიცხიანი იწვა და გამუდმებით ოხრავდა. სწორედ მაშინ საავადმყოფოში მოიყვანეს პატარა გოგონა. დიდი თოვლის გამო ბავშვის თბილისში გაგზავნა არ ხერხდებოდა, არა და ოპერაცია აუცილებელი იყო, ოდნავი დაყოვნება, და ბავშვს სიკვდილი ელოდა. მეტი გზა არ იყო, ადგა ავადმყოფი ექიმი და გოგონას ოპერაცია გაუკეთა. ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი ქირურგიაში. ეს ნაბიჯი სწორი გამოდგა. ბავშვი მალე გამოჯანსაღდა.

ამ შემთხვევამ უნდობლობის ყინული გაალხო. „პატარა ექიმმა", როგორც მას მაშინ ეძახდნენ, ავტორიტეტი მოიპოვა თავისი გულისხმიერებით, ტაქტით, დოსტაქრული ნიჭით.

ცოდნის წყურვილმა ალექსი ორდინატურაში მიიყვანა. სამი წელიწადი გაატარა მან პროფესორ ე. ფიფიას კლინიკაში, ეს იყო ქირურგიული დახელოვნების შესანიშნავი სკოლა, რომელმაც სრულად აღჭურვა იგი ცოდნითა და გამოცდილებით.

დედაქალაქში შრომა და ცხოვრება აბა ვის მოსწყინდება, მაგრამ ალექსის მაინც მშობლიური მთები იზიდავდა. 1956 წლის სექტემბერში ფანშეტელი მწყემსის შვილი ალექსი საბაური კვლავ ყაზბეგის რაიონს დაუბრუნდა. მას შემდეგ არც თუ ისე ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ახალგაზრდა ქირურგის სახელოვანი საქმეები ახლა ცნობილია მეზობელ რაიონებში და მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთშიც კი.

ქალაქ ორჯონიკიძის ერთ-ერთი უხუცესი ქირურგი გ. ძილიხოვი ამბობს: — უწინ ყაზბეგიდან ბევრი ავადმყოფი მოდიოდა ჩვენთან. ახლა, პირიქით, ზოგჯერ აქაური ავადმყოფები მიეშურებიან ჩემს ქართველ კოლეგასთან...

ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გაუთენებია ალექსის ავადმყოფის სასთუმალთან, რამდენი საგანგაშო ფიქრი გადაუტანია, როცა პაციენტის მდგომარეობა გაუარესებულა, მაგრამ ყველაფერი [illegible], როცა მისი შრომა დაფასებულა და ავადმყოფის [illegible].

მართლაც რა შეედრება ამ ბედნიერებას!

ყურადღება, საოპერაციო მაგიდაზეა ადამიანი! რა დიდი პასუხისმგებლობაა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. ეს გრძნობა არასოდეს არ ტოვებს ალექსის სულსა და გულს. იგი ყოველთვის მზად არის უდიდესი სერიოზულობით შეუდგეს მორიგ ოპერაციას, ყველაფერი გააკეთოს ადამიანის გადარჩენისათვის.

კუჭის რეზექცია, მწვავე მუცელი, ელენთის ამოკვეთა და თვით ყველაზე სათუთი — გულის ოპერაცია გაუკეთებია ალექსის და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. ახლა იშვიათია ისეთი ოპერაცია, რომელსაც რაიონულ საავადმყოფოში არ აკეთებდნენ.

ალექსის, როგორც მკურნალის ძალა იმაშია, რომ იგი გამსჭვალულია ადამიანისადმი ჭეშმარიტი სიყვარულით, გულისხმიერებით, უდიდესი ტაქტით.

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინათ, — ამბობს ალექსი, — აღმოსავლეთის მედიცინა ამბობდა, რომ ექიმს სამი იარაღი აქვს: სიტყვა, მცენარე და დანა. საგულისხმოა, რომ სიტყვას პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ამ თქმას ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ზოგჯერ ექიმის სიტყვა გადამწყვეტია ავადმყოფის მკურნალობაში...

ექიმის პროფესია იმან უნდა აირჩიოს, ვინც მზად არის, თუ საჭირო იქნება, ავადმყოფს საკუთარი სიცოცხლეც კი მისცეს, — ამბობს ალექსი.

ასეთია ნიჭიერი მთიელი დოსტაქრის, პარტიის ყაზბეგის რაიკომის წევრის ალექსი საბაურის სიტყვა და სახელოვანი საქმეები დოსტაქრისა, რომლის მისამართით მთაში ხშირად ამბობენ:

— დაგელოცოს მარჯვენა!

ა. თომაძე.

მშენებლობა ქაღალდის საძირკველზე

ქალაქი რუსთავი — ოთხი დიდი ქარხნის სამშობლო. მეტალურგიული მრეწველობის გვერდით აქ სწრაფი ტემპით ვითარდება ქიმიური და ცემენტის მრეწველობა, ყოველივე ეს ფართო მასშტაბის ბინათმშენებლობას მოითხოვს.

უზრუნველყოფს თუ არა მშენებლობის ამ ფართო ფრონტს რუსთავში ამჟამად მოქმედი რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატი? რა თქმა უნდა, ვერა. ამიტომ იყო, რომ გაითვალისწინეს რუსთავში აშენებულიყო 35.000 კუბმეტრი სიმძლავრის სახლთსამშენებლო ქარხანა იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წლის ბოლოსათვის მას მოეცა პირველი პროდუქცია — კედლები, გადასახურავი ფილები, კარნიზები, სახლის სხვა დეტალები.

რა ბედი ეწია ამ ქარხნის მშენებლობას?

ჯერ იყო და „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ტრესტმა დროულად არ გამოუყო ნაკვეთი ქარხნის მშენებლობისათვის. მერე თვით ტრესტმა ქარხნის პროექტის შედგენისათვის არ იჩქარა, დაკარგა ძვირფასი დრო და ამით საფრთხის წინაშე დააყენა დადგენილი ვადა ამ ობიექტის ამუშავებისა.

ვინ იცის, კიდევ როდემდის გასტანდა ეს მდგომარეობა, რომ მშენებელთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც 14 მაისს გაიმართა, მთელი სიგრძე-სიგანით არ დასმულიყო აღნიშნული ქარხნის საკითხი. სამართლიანი კრიტიკის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭომ ბოლოს გამოიტანა დადგენილება ქარხნისათვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ. ეს იყო 25 მაისს. მშენებლობა კი მაინც არ დაწყებულა აგვისტომდე. ეს დრო დასჭირდა დავას — დაეკისრებინათ თუ არა ახალი ქარხნის მშენებლობა მეტალურგმშენის სამმართველოსათვის.

დავათვალიერეთ მშენებლობა. ვნახეთ მხოლოდ 100 მეტრამდე გაკეთებული ღობე, ამოჭრილი საძირკველი, დამხმარე საამქროებისა და ძირითადი კორპუსის ჯერ კიდევ მიწისქვეშა სამუშაოები, აქაიქ მიმობნეული თითოოროლა რკინაბეტონის ნაწარმი და 35-მდე მუშა.

იქ, სადაც ბეტონის საამქრო შენდება, თავი მოუყრია მუშათა ერთ ჯგუფს.

— რატომ დგახართ?

— ბეტონის ხსნარი არა გვაქვს, — გვეუბნება ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ბარბარინი. გამოირკვა, რომ მანქანის მძღოლი ზ. ტოგონიძე ერთ მანქანა ხსნარს მშენებლობაზე რომ მოიტანს, მეორე „გვერდზე" მიაქვს.

— ნორმალური მუშაობისათვის, — საუბარში ჩაერია მებეტონე ა. მაისურაძე, — ჩვენ დღიურად 15 მანქანა ხსნარი გვჭირდება. ფაქტიურად 7-8 მანქანას ვიღებთ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ დიდი მოცდენა გვაქვს. სამწუხაროდ, ზოგჯერ მოცდენაა ელექტროენერგიის უქონლობის გამოც.

— ჩვენი ძირითადი ობიექტი, — ამბობენ უბნის უფროსი ა. კუკლევი და სამუშაოთა მწარმოებელი შ. მელქაძე, — მთავარი კორპუსის მშენებლობაა.

გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ასეთ სერიოზულ ობიექტზე ვერცერთი მუშა ვერ ვიპოვნეთ.

— რა ვქნათ, — ამბობს შ. მელქაძე, — მშენებლობა რომ გავშალოთ, ამისათვის უპირველეს ყოვლისა გვჭირდება 63 ცალი რკინაბეტონის სვეტი. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე შეკვეთა ჯერ კიდევ 15 ივლისს მიეცა რკინაბეტონის ნაწარმთა კომბინატს, დღეისათვის ერთი ცალიც არ მიგვიღია. ისიც გამოირკვა, რომ ეს საწარმო ვერც სხვა აუცილებლად საჭირო მასალებით ამარაგებს მშენებლებს. მიუხედავად ორმხრივი მოლაპარაკებისა და დამტკიცებული გრაფიკისა, მშენებლებს ჯერ კიდევ არა აქვთ ხიდურქვეშა კოჭები, გადასახურავი ფილები, ღობის კედლები და სხვ. ყოველივე ამით უნდა ავხსნათ ის, რომ ქარხანა, რომელიც დადგენილებით წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, ჯერ მხოლოდ 15 პროცენტით თუ არის აშენებული.

დავინტერესდით რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მუშაობითაც. ვერ დავეთანხმებით აქაურ ხელმძღვანელებს თავის მართლებაში, მაგრამ ერთი კი მაინც საგულისხმოა. დაკვეთების შეუსრულებლობა აქ ძირითადად გამოწვეულია მასალების უქონლობით. მშენებლობის ტრესტის ტექნიკური მომარაგების განყოფილება (უფროსი ლ. თოთაძე), როგორც ჩანს, ნაკლებად იწუხებს თავს იმისათვის, რომ მოამარაგოს კომბინატი რკინაბეტონის ნაკეთობისათვის საჭირო მასალებით. კომბინატის მუშაობას განსაკუთრებით აფერხებს რკინის არმატურის ნაკლებობა.

სახლთსამშენებლო ქარხნის მშენებლები პრეტენზიებს აცხადებენ იმაზეც, რომ მათ დაგვიანებით უზრუნველყოფენ ტექნიკური დოკუმენტაციებითა და პროექტებით. ეს ნაწილობრივ მართალია. ზოგიერთი ობიექტის მშენებლობის პროექტები მშენებლებს ჯერაც არ მიუღიათ, ხოლო ზოგიერთი მიღებულია დაგვიანებით. მაგალითისათვის ავიღოთ რკინიგზის პროექტი. ამ პროექტის დაგვიანება იმან გამოიწვია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მრავალჯერ კატეგორიული უარი განაცხადა სამგზავრო სადგურიდან ხაზის გაყვანის ნებართვის მიცემაზე. ის მხოლოდ მაშინ დათანხმდა, როცა ამ საქმეში ზემდგომი ორგანოები ჩაერივნენ. ავიღოთ ტრანშეის საწყობის ტიპური პროექტის საკითხი. დიდი რაოდენობით დაიხარჯა ქაღალდი და მელანი რუსთავსა და მოსკოვის „გიპროსტროიინდუსტრიის" ინსტიტუტს შორის გაჩაღებულ მიმოწერაზე, მაგრამ შედეგი ჯერ კიდევ არა ჩანს.

ცხადია, პროექტებისა და ტექნიკური დოკუმენტაციების უქონლობა და დაგვიანებით მიღება აფერხებს მშენებლობას, მაგრამ ვერ გავამართლებთ თვით მშენებლებსაც. მათ ხელთ აქვთ 4 მილიონი მანეთის ღირებულების პროექტები, რომელთა ათვისება კუს ნაბიჯით მიმდინარეობს.

მშენებლობის ასეთი ტემპით საეჭვოა ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცეს დანიშნული დროისათვის. მაგრამ არის მომავლის ზოგიერთი სერიოზული საკითხი, რომლის მოგვარებას ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ვფიქრობთ ნაადრევი არ არის ზრუნვა ქარხნისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობის შემოზიდვაზე. ახლავე უნდა მოგვარდეს აგრეთვე ქარხნისათვის საჭირო ღორღის კარიერის მომზადების საკითხი, რაზეც ჯერ მაინცდამაინც არავინ ზრუნავს.

რუსთავში სახლთსამშენებლო ქარხნის მშენებლობა ფრიად სერიოზული მნიშვნელობის საკითხია. საწარმოს საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება მეტალურგიული ქალაქის მშენებლობის ტემპები. ამ საწარმოს მშენებლობით უნდა დაინტერესდნენ არა მარტო მშენებლები, არამედ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოებიც.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქარელის რაიონში წელს ხილის ბარაქიანი მოსავალია. ამ დღეებში განსაკუთრებით ლამაზი სანახავია ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღები, სადაც თვალს ახარებს ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხის ულევი მწკრივები. თეთრხალათიანი გოგონები ფუტკრებივით შესევიან ბაღს და მიმღებ პუნქტში ხილით სავსე გოდრები უწყვეტ ნაკადად მიდის.

სურათზე: მოწინავე მკრეფავი კომკავშირელი ციალა ხაჩიძე, რომელიც ყოველდღიურად, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 კილოგრამისა, 550 კილოგრამ ვაშლს კრეფს.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

წიგნები და მკითხველები

სასარგებლო მონოგრაფია

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ახლახან გამოსცა კ. კაპანაძის მონოგრაფია „ვეტერინარიის ისტორიისათვის საქართველოში". გადაფურცლავთ წიგნს, წაიკითხავთ, გაეცნობით და გრძნობთ, რომ ავტორი ამ მეტად რთულ და ძნელ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით და სიყვარულით მოჰკიდებია.

ვეტერინარული მეცნიერების განვითარება საქართველოში ისევე, როგორც მედიცინისა, ქართველი ხალხის კულტურის განუყოფელი ნაწილია, მრავალი წლის დაკვირვებათა და შრომის ნაყოფია.

ნაშრომში მოყვანილი მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართველი ხალხი ძველთაგანვე მისდევდა მეცხოველეობას, ხოლო აქ დამზადებულ ცხოველურ ნაწარმს — შალის ქსოვილებს, მატყლს, ხალიჩებს, ქურქს, აგრეთვე ცხოველებს — ცხენს, ჯორს შორეულ ქვეყნებში — რუსეთსა და ეგვიპტეში ჰყიდდა.

ავტორის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ბევრი მასალიდან მონოგრაფიაში გამოხატულება ჰპოვა მისმა მხოლოდ ერთმა ნაწილმა. სახელდობრ, აქ მოცემულია საქართველოში ვეტერინარიის მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, დაწყებული გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

ავტორი აღნიშნულ ნაშრომში თავს უყრის, სისტემაში მოჰყავს, განაზოგადებს და მკითხველს აწვდის დამუშავებულ მასალას შემდეგ საკითხებზე: 1, მეცხოველეობის მდგომარეობა, 2. პირუტყვის ეპიზოოტიური დაავადებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, 3. მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჭირი და მასთან ბრძოლა, 4. ზურნაბადის ჭირის საწინააღმდეგო სადგურის მუშაობა, 5. ვეტერინარული სამკურნალო საქმიანობის მდგომარეობა, 6. ამიერკავკასიის ვეტერინარული საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ, 7. ვეტერინარული განათლების მდგომარეობა, 8. ზოგიერთი ვეტერინარი ექიმის მოღვაწეობა, 9. ვეტერინარ მუშაკთა შტატები, 10. პირუტყვის დაკვლა და ცხოველურ პროდუქტებზე სანიტარული მეთვალყურეობის მდგომარეობა, 11. ლაბორატორიულ გამოკვლევათა მდგომარეობა, 12. ლიტერატურა ვეტერინარიის საკითხებზე, 13. ვეტერინარია რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-13 ყრილობაზე.

ვეტერინარიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის ვეტერინარულმა საზოგადოებამ, რომელიც 1907 წლის 29 აპრილს გაიხსნა თბილისში. ამ საზოგადოებამ, როგორც ეს მონოგრაფიაშია მოთხრობილი, დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიაში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ლიკვიდაციის, ვეტერინარულ ღონისძიებათა პროპაგანდისა და მთლიანად ვეტერინარიის განვითარების საქმეში. საზოგადოება სცემდა შრომებს და სპეციალურ ჟურნალს „ამიერკავკასიის ვეტერინარიის მოამბეს", რომელშიც თეორიული და პრაქტიკული ვეტერინარიის საკითხები შუქდებოდა.

რევოლუციამდელ საქართველოში სრულებით არ ყოფილა საშუალო ან უმაღლესი ვეტერინარული სასწავლებელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვეტერინარულ სამხედრო-საფერშლო სკოლას, რომელმაც სულ ერთი წელი იარსება და 17 ვეტფერშალი გამოუშვა. მაშინ ჯეროვან დონეზე არ იდგა ცხოველთა სასაკლაოების, ცხოველურ პროდუქტებზე მეთვალყურეობის, ლაბორატორიულ გამოკვლევათა და ვეტერინარული ლიტერატურის გამოცემის საქმე. ამ საქმისათვის მეფის მთავრობა მეტად მცირე თანხას იძლეოდა.

1826 წლიდან 1920 წლამდე ვეტერინარიის საკითხებზე ქართულად სულ 9 წიგნი გამოქვეყნდა. პირველი წიგნი გამოვიდა 1818 წელს — „ცხენისა და სხვა ცხოველების მკურნალობა", რომელიც გამოცემულ იქნა პეტერბურგში ივანე ბატონიშვილის მიერ საკუთარი ხარჯით.

კ. კაპანაძის მონოგრაფია დიდი შენაძენია ვეტერინარიის განვითარების ისტორიაში. აღნიშნული მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სპეციალისტებს მათთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში.

ზ. ფიცხელაური,
ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დოცენტი.

ჯანსაღი სიცოცხლის წყარო

ფიზიკური აღზრდა და სპორტი შედარებით ახალი დარგია, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამდე ყურადღება არ ექცეოდა და მივიწყებული იყო. დიდი ილია თავის დროზე გულისტკივილით აღნიშნავდა: „დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულებაც აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს".

ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას აკაკი წერეთელი. იგი მას არა მარტო ორგანიზმის წრთობის, არამედ „ჭკუა-გონების გავარჯიშებისა და გამოწრთობის" საშუალებადაც თვლიდა.

დღეს კი, ჩვენს სინამდვილეში, ფიზიკური აღზრდა და სპორტი კომუნისტური აღზრდის ორგანული ნაწილია.

ცნობილია, რომ მოძრაობით იწყებს ადამიანი თავის სიცოცხლეს, მოძრაობაში ვითარდება მისი აქტივობა და შემოქმედებითი ძალები. ამიტომაც გასაგებია, რომ ადამიანის მოძრაობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმა მრავალმხრივ დაკავშირებულია მის სასიცოცხლო ინტერესებთან.

ქალიშვილი კრეფს ჩაის ფოთოლს თუ ვაჟკაცი აღნობს ფოლადს, მოცეკვავე ტანის რიტმული მოძრაობით ხიბლავს საზოგადოებას თუ სპორტსმენი სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებით აღაფრთოვანებს მაყურებელს, — ყველგან არსებითად მოძრაობის მაღალ კულტურასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც მოძრაობის თვისებების სწორ აღზრდას და რაციონალურ გამოყენებას დიდი ეროვნული, სახალხო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ ახალი საინტერესო და საჭირო საქმის სამსახურში ჩამდგარია უშუალოდ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს კადრებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში, სადაც ახალგაზრდობა საკუთარი სხეულის გამოწრთობასთან ერთად ეუფლება მეცნიერულ ცოდნას და იღებს უმაღლეს პედაგოგიურ განათლებას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში.

ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ამ ახალი დარგის მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლობა რამდენად უზრუნველყოფილია საჭირო სახელმძღვანელოებით დედაენაზე. პროფესორ ვლ. ნორაკიძის წიგნი — „სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია" (გამომცემლობა „ცოდნა", 1959 წ.) პირველი სახელმძღვანელოა მშობლიურ ენაზე სპორტის ფსიქოლოგიაში, რომელიც განკუთვნილია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთათვის. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში მუშაობს.

ავტორი აღნიშნულ წიგნში ეხება და სათანადო მეცნიერული სიღრმით აშუქებს ყველა იმ საკითხს, რომელიც გათვალისწინებულია სპორტის ფსიქოლოგიის კურსის ოფიციალური პროგრამით.

უწინარეს ყოვლისა ავტორი არკვევს ზოგადი ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებს, სადაც გარჩეულია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები და ნაჩვენებია, რა ადგილი უჭირავს ქცევის სხვა ფორმათა შორის კერძოდ სპორტულ ქცევას და რა თვისებებით ხასიათდება იგი.

ავტორი სპორტულ ქცევას განიხილავს როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

პროფ. ვლ. ნორაკიძის წიგნი „სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია" ქართული პედაგოგიური ლიტერატურის უთუოდ საუკეთესო შენაძენია.

დოც. ბ. ნიკოლაიშვილი.

უცხოელი სტუმრები

ქართველ მეცნიერებს, მწერლებს ესტუმრნენ ერაყის კულტურის მოღვაწეები — ერაყელ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი დოქტორი ალი ჯავად ათ-თაჰირი და მწერალი, დოქტორი შაქერ ჰუსბაკი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით.

ერაყელი ლიტერატორები ეწვივნენ საქართველოს მწერალთა კავშირს, იყვნენ მუზეუმებში, თეატრებში, გაემგზავრნენ გორს — ი. ბ. სტალინის სამშობლოსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

— ჩვენ პირველი ერაყელი მწერლები ვართ, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოვედით, — განაცხადა საქტაგის კორესპონდენტთან საუბარში დოქტორმა შაქერ ჰუსბაკმა. — თქვენმა დიადმა ქვეყანამ, მისმა გულითადმა ხალხმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ჩვენი სურვილია, რომ კვლავაც მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ერაყ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. (საქტაგი).

* * *

საქართველოში სტუმრად არიან თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ომანის იმამის მოადგილე სალებ ელ-ჰარისი და მისი თანმხლები პირები — სულეიმან ელ-ჰარისი, ფავზი ალ-ადიარი, ფათებ სპირი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის მოწვევით.

ომანელი სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

ომანის იმამის მოადგილე სალებ ელ-ჰარისი და მისი თანმხლები პირნი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ.

ომანის საზოგადო მოღვაწეები ორ დღეს გაატარებენ აჭარის ასს რესპუბლიკაში. (საქტაგი).

* * *

თბილისში მუშაობა დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოძრავმა სემინარმა ახლო და შუა აღმოსავლეთის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ექიმებისათვის. დედისა და ბავშვის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის მუშაობაში მონაწილეობს საზღვარგარეთის ოცზე მეტი ქვეყანა.

(საქტაგი).

დაღესტნელები არაგვის ხეობაში

დუშეთი. („კომუნისტის" საკ. კორ.). მეორე დღეა დუშეთის რაიონში იმყოფება დაღესტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც გუნიბის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. მუსაევი ხელმძღვანელობს.

გუშინ დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ სოფელ მლეთის კოლმეურნეობაში, სადაც ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. სტუმრებმა დაათვალიერეს „მლეთურის" ჯიშის მეტისური ცხვრის ფარა. ამ ფარის უფროსი მწყემსია ცნობილი მეცხვარე შიო ნაზღაიძე.

ამაღელვებელი იყო დაღესტნელი მწველავი ქალის ხაჩილაი ცეხინოვას და მლეთის კოლმეურნეობის მწველავის ლენინის ორდენოსანი ნინო სეთურიძის შეხვედრა. მათ ნათესავებივით მოიკითხეს ერთმანეთი. დობილებმა იკისრეს მიმდინარე წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 3.200 კილოგრამი რძე.

ამავე დღეს სტუმრები იყვნენ სოფელ მაქართის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის

წლები და გზები

გზადაგზა ვწერ ამ წერილს, შთაბეჭდილებები ერთმანეთში ირევა...

ავიღეთ გუდა-ნაბადი და შევუდექით გზა-სავალს.

გზა მეტად დიდია, დრო—მცირე.

მგზავრობა თვითმფრინავით, მანქანით, ცხენით, ფეხით... აქ თითქოს ათასი დრო-საუკუნეა ერთმანეთში ჩაწნული.

ერთი სიტყვით, მოკალმასენი ვართ. სულხან-საბა კალოზე პურის მოშოებასა თუ მოპოვებას ეტყვის კალმასობას, ჩვენ „საგაზეთო პურს“ დავეძებთ.

1.

თვითმფრინავში ჩვენს გარდა შვიდი მგზავრია. ერთ-ერთი უშგულელი ახალგაზრდა ანზორ ჩარქსელანია. ძალაუნებურად გახსენდება ვახუშტის სიტყვები, კარგი და ზედგამოჭრილი სიტყვები, რომ სვანები არიან „დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი... სიკვდილის არა მომხსენენი“.

ანზორ ჩარქსელანი მარტო უშგულელი კი არა, თბილისელიც არის. აქ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა უკვე ასპირანტია.

— ყველანი ასე ვართ, სვანეთს უფრო მეტად ზაფხულში ვიხსენებთ, — თქვა ანზორმა.

— თბილისში მართლა ძალიან ცხელა?

— დასასვენებლად მოდიხართ ალბათ.

—არა, მივლინებითა ვართ.

ანზორმა ფოტოაპარატს შეხედა და იკითხა:

— ჟურნალისტები ხართ?

— დიახ.

— ერთი რამ არის უცნაური, — თქვა ანზორმა.

— რა?

— ვინც კი ჩამოდის, ყველა ერთნაირად წერს, თითქოს აქ ეთნოგრაფიის მეტი არაფერი იყოს.

— რატომ, აქ რომანტიკაც ბევრია.

— ზოგს ერთმანეთში ერევა ხოლმე რომანტიკა და ეთნოგრაფია.

— ცხოვრებას ზოგი ასე ხედავს და ზოგიც ისე.

— უშგულში უეჭველად ჩამოდით, — თქვა ანზორმა,

— მგონი ვეშვებით კიდეც.

უკვე საღამო ხანი იყო. საფრენი ველიდან მესტიამდე ფეხით წავედით. „ვინც კი ჩამოდის, ყველა ერთნაირად წერს, თითქოს აქ ეთნოგრაფიის მეტი არაფერი იყოს“, კაცის ნათქვამს ახლა ფიქრი იმეორებდა თავში.

— ხოჩა შუკუ ჯაარ, ასე ვეტყვით გზად მიმავალ კაცს სვანები— თქვა ანზორმა.

— ხოჩა შუკუ ჯაარ?

— ჰო, კარგი გზით გევლოსო,

— ლამაზად ნათქვამია.

— შეიძლება იმდენად ლამაზი არ იყოს, რამდენადაც სწორი და მართალია. სვანეთს ყოველთვის უგზოობა სჭირდა.

ნისლიანი ბინდი ნელნელა აუჩინარებდა გარემოს. მთვარე თითქოს უშბამ შემოდო ცაზე. მესტიაში სინათლე აანთეს. ანზორ ჩარქსელანი ადლიანი ნაბიჯით მიდიოდა წინ, მიდიოდა ამაყად, როგორც საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის მდინარეებმა იციან. და ძველი, გარდასული ზღაპარივით ძნელი მოსასმენი იყო ერთ-ერთი აქაური კაცის მიერ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ დასტამბული ამბავი: სვანები „ახალი მთვარის დანახვაზე პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში რკინას იდებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ რკინის სიმაგრე მისცეს. ახალგაზრდები ზევით ხტებიან და მთვარეს ეხვეწებიან, რათა ნახტომის სიმაღლემდე ისინი აღამაღლოს ანუ გაზარდოს. მთვარის დანახვის შემდეგ სანამდე რაიმე ხევსს (საუზმეს) არ დაადგამენ კბილს, სახლში შესვლას და ცეცხლის ნახვას ერიდებიან“.

სვანეთის მშვენიერებაზე ბევრ მწერალს, მეცნიერსა თუ მოგზაურს დაუწერია... ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავდა, სვანები კავკასიონის მწვერვალებზე, დიოსკურიის ზემოთ ცხოვრობენო. ამ ქვეყნის მთათა ღელეებში არის ოქრო, რომელსაც ძირდაჩვრეტილი კასრებითა და საწმისით იღებენო. ალბათ ამის გამო შეიქმნა თვით ოქროს საწმისის გადმოცემაცო. ამას წერს მეორე ძველი ბერძენი სწავლული პლინიუსიც. ძველი წიგნები იმასაც იტყობინებიან, რომ კოლხეთის მეფეს სავტაკს უამრავი ოქრო და ვერცხლი მოუპოვებია სვანეთში... თუმცა გეოლოგი შოსტაკი 1902 წელს მეტად სკეპტიკურად წყვეტს ამ საკითხს.

ამ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის წინათ რუსმა მეცნიერმა ბორის კოვალევსკიმ კარგახანს იმოგზაურა სვანეთში და წიგნიც დაწერა, — „თოვლისა და კოშკების ქვეყანა“. ამ წიგნში ბევრი მეტად ყურადსაღები ცნობაა დაბეჭდილი. კოვალევსკის ცნობით, მთელ უძველეს მესოპოტამიასა და მცირე აზიას კავკასია ამარაგებდა რკინით. ხოლო ყველაზე ცნობილი მელითონეები საქართველოში ყოფილან, სვანები. „ბერეჟ“ სიტყვა „რკინაა“ სვანურად, სირიულად „ბარჟილუ“, ებრაულად „ბარზალ“. ამით კოვალევსკის უნდა დაადასტუროს, რომ საქართველოდან წაღებულ რკინას თან მიჰქონდა თავისი პირვანდელი სახელიც.

დღემდე ქართულად არ თარგმნილა ფრანგი მოგზაურის აბიხის წიგნი „სვანეთი“, დაწერილი 1864 წელს, არ თარგმნილა „მოგზაურობანი“ ინგლისელი ფრეშფილდისა, რომელიც 1885 წელს ყოფილა სვანეთში. არ ვიცნობთ არც გერმანელი მერცბახერის წიგნს. მან უფრო გვიან, 1901 წელს აღწერა თავისი ყოფნა საქართველოში... კოვალევსკი თავის ნარკვევებში უხვად იყენებს ამ წიგნებს. იმ ევროპელ მეცნიერ მოგზაურებს, ეტყობა, ბევრი რამ ყურადსაღები აქვთ დაწერილი.

ერთი კი ნამდვილია, იმ ჩვენი თანამგზავრისა არ იყოს, თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კი სვანეთზე დაწერილა, ლეგენდებითა და თქმულებებით იწყება. ამ ლეგენდებისა და თქმულებების მიღმა კი იმალება აუტანელი სიდუხჭირე ხალხისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გაძარცვეს იმ ძველი ოქროსა თუ რკინისაგან და მხოლოდ ოქროს გულმა და რკინის ხასიათმა გადაარჩინა.

ერთ-ერთი ყველაზე არაპოეტური, მძიმე წიგნი, რომელიც კი ოდესმე სვანეთზე დაუწერიათ, ექიმს ოლდეროგეს ეკუთვნის, ის წიგნი უფრო „ავადმყოფის ისტორიას“ ჰგავს, ვიდრე მოგზაურის ჩანაწერებს. ოლდეროგე 1896 წელს ჩამოსულა სვანეთში ჩიყვიანობის შესწავლის მიზნით.

ოლდეროგე წერს: კაცებს სამოსად ძონძები ახვევიათ და ნადირის ტყავი აცვიათო, ერთი ტყავი კისერზე ჩამოსაცმელად ამოჭრილი წინ, მეორე უკან. თავზე ზარის მაგვარი თექის ქუდები ახურავთ. ზოგს კი დაფლეთილი ნაბადი წამოუსხამსო. ეს არის და ეს. როგორც წესი, ქალსაც და კაცსაც, უმეტესობას ჩიყვი აქვს, რაც ყველაზე მთავარი ნიშან-თვისებაა სვანთა სიდუხჭირისა და სიღარიბისაო. სვანი კაცი მრისხანე და ანჩხლი ბუნების ყურმოჭრილი ყმააო, ამბობს ოლდეროგე. ის შეიძლება ცუდი ექიმი არ იყო, მაგრამ სოციოლოგობა ნამდვილად არ ემარჯვებოდა. მთელ ამ სიდუხჭირესა და სილატაკეს ოლდეროგე იმით ხსნის, რომ სვანებს თარგმნილი არა ჰქონდათ სამღვთო წიგნები, ღმერთი კი ისე მოწყალებას არ იღებდა. ასე აერია ერთმანეთში ოლდეროგეს მედიცინა და სოციოლოგია.

ძველი ჟურნალ-გაზეთები კი „მწყემსი“, „მოგზაური“, „კვალი“ — ამ „მიზეზებს“ ნაკლებად ეძებდნენ. ისინი უფრო საშინელ ამბებს იტყობინებოდნენ. თუ იმ ჟურნალ-გაზეთებს გადაფურცლავს ვინმე, ხშირად წააწყდება ამგვარ გულისმომკვლელ ცნობებს: „დღემდე სვანეთში არ არსებობს ერთი ხეირიანი სკოლა, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა შვილებს შეეძლებოდათ თუნდაც პირველი დაწყებითი სწავლის შეთვისება... არსად ექიმი, არსად წამალი, ხალხი ერთი პრისტავის ანაბარაა მიტოვებული...“

ალბათ ორმოცდაათი-ასი წლის შემდეგ დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებსაც გადაფურცლავენ. ზოგი ცნობისმოყვარეობით გადაფურცლავს, ზოგიც წარსულისა და თავისი აწმყოს შესადარებლად.

ცხადია, ის ცნობისმოყვარე თუ საქმიანი კაცი ზოგიერთ საკბილოსა და საწიწკარს იპოვნის, მაგრამ დღევანდელ ნათქვამს ისე ვერ დახედავს, როგორც ოლდეროგეს მწარე წიგნს.

ვწევარ და ვათვალიერებ ჩემს ჩანაწერებს... მესტიაში პირველად ოთხი წლის წინათ ვიყავი. ახლა მეორედ ვარ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მაშინ აქ პატარა, თორმეტიოდე წლის მეგობარი დავტოვე, ახლა კი იგი უკვე შედერებული, მეჩვიდმეტე წელიწადში გადამდგარი ჭაბუკი დამხვდა, უფრო გალამაზებული და გამშვენიერებული. ასე იერშეცვლილი მეჩვენა მესტია. თითქოს ისიც ადამიანი, ჩემი მეგობარი იყო.

გუშინ, ოთხშაბათს, ტაქსით ავედით ლეგურგულაზე, მესტიის ყურისძირში, აქ დიდი ალპინისტური ბანაკი უნდა აშენდეს. მშენებლობა უკვე დაწყებულია. იმ ბანაკს „უშბა“ ერქმევა. აქ არიან თბილისელი, ქუთაისელი, თელაველი, გორელი და თვით მესტიელი ახალგაზრდები. ისინი თოვლიან მწვერვალებზე ადიან. უკვე ასულან ასმაშზე, სვეტილარებზე, თოთზე. მესტიას რომ თავზე მთა წამოსდგომია, ჰაწვალს ეძახიან, ამ ჰაწვალზე აშენდება დიდი „მეგობრობის სახლი“.

აღარ მოგვეშვა მესტიელი გიორგი მჭედლიანი და მერე თავისთან წაგვიყვანა (გიორგი მძღოლად მუშაობს აქვე, მესტიაში). მჭედლიანებთან კარგახანს დავრჩით. გავიგეთ რომ მესტიაში ჩამოსულან თბილისის კონსერვატორიიდან, აქ ყოფილა პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძეც. სვანურ ხალხურ სიმღერებს იწერენ თურმე. მალე ფეხბურთიც დაიწყო და რადიომიმღებს რაღა მოგვაშორებდა.

საღამოთი კლუბში შევიარეთ, პლატონ დადვანი თვითნაქმედ გუნდს ამეცადინებდა, აქ იყო პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძეც. ექსპედიცია უკვე მრავალ სოფელში ყოფილა. ჩაუწერიათ ბევრი მეტად იშვიათი ნიმუში. „ნანაილა“ ქალთა შესრულებით დღემდე ჩაწერილი არ ყოფილა. პროფესორი დიდად აქებს ძველი მეჭუნირის ოთხმოცი წლის დავით ნიგურიანის რეპერტუარსა და ლენჯერელ მოხუც ფილფანთა გუნდს. ხემი სვანური სიტყვა ყოფილა. „ხემათ“ ასე იტყვიან მეჭუნირეები. ჭუნირი რცხილისა და ტყის თუთისაგან უკეთებიათ, სიმი ძუისაგან. პირველ სიმში რვა ძუა ყოფილა, მეორეში თერთმეტი, მესამეში კი ცამეტი... ძუას მარტო სვანეთშიღა ხმარობენ სიმად, რაც ძველთაძველი ჭუნირის მთავარი ნიშანი და კეთილხმოვანების წყაროა, ექსპედიციას სვანური ჩანგიც შეუსწავლია.

ამ თვალშეუდგამ მთებზე სიარულივით, აქ სიმღერა ყველას ემარჯვება. ამ სიმღერებით მოხიბლული ტიციან ტაბიძე ერთ-ერთ თავის წერილში წერს: „მუსიკაში დიდი ნაცადი არ უნდა იყოს კაცი, რომ სვანურ მზის ამოსვლის საგალობელ „ლილეში“ ესმოდეს ვაგნერის „ნიბელუნგები“ და სკრიაბინის „პრომეთეს ჰიმნი“... ვინ იცის, იქნებ სკრიაბინსაც რომ ეცხოვრა სვანეთის მთებში და მოესმინა „ლილე“ და ქალდეს სიმღერა, ჰიმალაის მაგიერ შეიძლება თეთნულდი ან უშბა აერჩია თავისი ფანტასტიკური ტაძრის ასაშენებლად, რაზედაც სიკვდილის დღემდე ოცნებობდა“.

...დღეს დილით სასაუზმეში მესტიური ლიმონათი დავლიეთ, აქ ჩამოსხმული და აქ დამზადებული. კირის ქარხანაც (პრიმიტიული საკირე კი არა, ქარხანა) ყოფილა აქ და ადგილობრივი მეურნეობის საავეჯო საამქროც, რომელსაც სოფელ იფარის სახერხი ქარხანა აწვდის ხის მაღალხარისხოვან მასალას.

ამ სამოცდაათი წლის წინათ სვანეთის ტყეებს ვინმე ტყისმრეწველი სერებრიაკოვი ანადგურებდა. ის იჯარით იღებდა ამ ტყეებს თავად დადიანისაგან. მერე ბავარიელ კონცესიონერებს და ერთ იტალიელ გრაფსაც კი დაუდგამთ აქაურობისათვის თვალი. ხოლო ბაქოელი მილიონერი, ვინმე ჩერმოევი, უფრო ქვემოთ, ლაშხეთისა და ლენტეხის არემარეს შესჩენია.

რა საოცრად ჰგავდა ერთმანეთს ხალხისა და ტყის ბედი!

2.

ორსართულიანი სასტუმრო შუაგულ მესტიაში დგას. ამ ადგილს სეტს ეძახიან. სეტზეა ბიბლიოთეკები, მაღაზიები, ადმინისტრაციული შენობები. სასტუმროს წინ დიდი მოედანია. სასტუმროში ყველა ოთახი დაკავებულია, უმეტესობა თბილისელი სტუდენტობაა. ტურისტებს ხომ ნუღარ იკითხავთ. ტურბაზაში ყოველდღე რამდენიმე ჯგუფი მოდის და მიდის. ვის არ ნახავთ აქ: მოსკოველს, ლენინგრადელს, კიეველს, მინსკელს, რიგელს, ვლადივოსტოკელსაც კი. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ბაქოელ ჟურნალისტს ადილ იბრაგიმოვს ჩაუწერია:

„მესტიაში წამოსვლამდე თბილისში ერთ ჩემს ქართველ მეგობარს ვეწვიე. ის სვანეთში არასოდეს ყოფილა. ვიფიქრე, ერთად წავალთ-მეთქი, მაგრამ ვერ მოახერხა. ერთი თხოვნა კი შემისრულა — სვანეთზე დაწერილი რამდენიმე წიგნი მომიტანა. იმ წიგნებში ერთი ქართულიც ერია (მგონი „ძველი და ახალი სვანეთი“) დავსვი და ადგილ-ადგილ ვათარგმნინე, ვუსმენდი და ყურს არ ვუჯერებდი. იმ წიგნში ეწერა, ერთი კარი და სამი ფანჯარა ხელსაყრელია სვანისათვის, რომ მტერი უფრო ადვილად მოიგერიოს და თანაც სიცივისაგან თავი დაიცვასო (ნამდვილად არ მიფიქრია თუ ერთ კარსა და სამ ფანჯარას ასეთი დანიშნულება ჰქონდა. ან რას ვიფიქრებდი, ჩემს სახლსაც ბაქოში სწორედ ერთი კარი და სამი ფანჯარა აქვს). შუაში დანთებული დიდი ცეცხლისაგან ხშირად ისეთი კვამლი დგება, რომ ერთმანეთს ველარა ხედავენ და სუნთქვაც უჭირთო. კვამლის გასავალი სვანურ სახლს არსაითკენ მოეპოვებაო (ავტორს დაავიწყდა ერთი კარი და სამი ფანჯარა) და ისეთ მჭვარტლს იკიდებს შიგნით, რომ ყველაფერს აბინძურებსო. ნავთის მაგიერობას სვანეთში კვარი და არყის ხის გამხმარი ქერქი ეწევაო... მართალი გითხრათ, ისეთ გუნებაზე დავდექი, წამოსვლა აღარ მინდოდა. თანაც ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. უკვე მეათე დღეა სვანეთში ვარ. არც ერთი ახლომახლო სოფელი არ დამიტოვებია, რომ არ მენახა, მაგრამ შუაცეცხლსა და არყისხის გამხმარ ქერქს ვერსად ვერ მივაგენი (ამაზე ახლა ლაპარაკიც კი სირცხვილია), ეს-ეს არის მესტიის ელექტროსადგური დავათვალიერე და პირდაპირ მუზეუმში წამოვედი. კარგი იქნება, თუ იმ წიგნს, როგორც ერთერთ ძველ ნივთს, ამ მუზეუმში შეინახავთ. ექიმ ოლდეროგეს ნამდვილად ბედი ჰქონია, — ვიფიქრე გულში, — კიდევ კარგი, ის წიგნიც არ წაუკითხავს, თორემ ვინ იცის რას ჩაწერდა ადილ იბრაგიმოვი.

მესტიის მუზეუმში ინახება ერთი უშველებელი დანა, რომელიც გერმანელ ალპინისტებს დაჰკარგვიათ სვანეთის თოვლიან მწვერვალებზე ჯერ კიდევ რევოლუციამდე... აქ გამოფენილ სურათებს შორის ერთერთს „ნანადირევი“ ჰქვია: სვან მონადირეს ზურგზე რქაბოჯოჯლა ჯიხვი მოუგდია, წინ კი გაფითრებული ტყვე გერმანელი მიაბიჯებს.

დღეს დილით თეთნულდიდან დაბრუნდნენ ახალგაზრდა მთამსვლელები, რომელთაც თავიანთი ლაშქრობა საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავს მიუძღვნეს, სვან ბიჭებს მწვერვალზე პატარა დაფა დაუდგამთ: „პიმენ დვალს და სამონ ჯაფარიძეს რაიონის ახალგაზრდა სპორტსმენებისაგან 1929 წ. — 1960 წ.“ აქ ადამიანს თითქმის აღარაფერი დარჩა დაუპყრობელი.

პარასკევს მთელი საღამო მესტიის მჟავე წყალზე ვიყავით (მჟავე წყალს აქ სგიმს ეტყვიან). ამ წყალსა და ამ არემარეს ბევრი ადგილი არ შეედრება ქვეყნად.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სოფელ ლატალში გადაიღო. ზინობი ფარჯიანს ოქროს ხელი აქვს. ვინ იცის, სად არ ხურავთ ზინობის მიერ დამზადებული სვანური ქუდი — ფაყვი. ოსტატი თავის ქალიშვილებსაც — ლეილასა და ნაზიბროლასაც ასწავლის ამ საქმეს.

აქ იყვნენ მოსკოველი, თბილისელი, ტუშინოელი და მესტიელი მოსწავლეებიც. ამას წინათ მესტიელი მოსწავლეები სტუმრად ყოფილან მოსკოველ და ტუშინოელ პიონერებთან. ახლა კი ისინი ჩამოსულან აქ. ლენჯერის საშუალო სკოლის შენობაში დაბანაკებულან. სტუმრებთან ერთად ისვენებენ აქაურებიც, ამ მხარის თითქმის ყველა საშუალო და შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები.

მესტიის რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია ავსტრალიელი მწერლის ფრენკ ჰარდის მოთხრობა „ომის ვეტერანი“, ინგლისურიდან მესტიელ მასწავლებელს ეფრემ გულედანს უთარგმნია... კარპატელები ნ. პერესოლიაკი და ი. ტკაჩევი, რომლებსაც ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში უმუშავნიათ, გაზეთის საშუალებით მადლობას უხდიან ხაიშის საუბნო საავადმყოფოს ექიმებს ა. ჭკადუასა და ს. კვანჭიანს კარგი მკურნალობისათვის.

ახლა რაღა უჭირს გიორგი ნიჟარაძეს, ამ კუთხის პირველ მკურნალ-დოსტაქარს, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ერთადერთი ექიმი იყო მთელ ზემო სვანეთში (მან 1913 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი და პირდაპირ მესტიაში ჩამოვიდა, პირველად 1924 წელს გახსნა აქ ათსაწოლიანი საავადმყოფო). დღეს მესტიის გარდა, იფარშიც, ჭუბერშიც, ეცერშიც და ლახამულაშიც მუშაობენ საავადმყოფოები. ახლა აქ ოცზე მეტი ექიმია.

ამას წინათ სოფელ მულახში ყოფილა ქართველ მწერალთა ჯგუფი (შალვა ამისულაშვილი, რევაზ ინანიშვილი, მედეა კახიძე, აქ ყოფილა ჩვენი ცნობილი კინომსახიობი თამარ ციციშვილი და რეჟისორი ნიკო გოძიაშვილი). მულახის კულტურის სახლში პატარა ლიტერატურული საღამო გაუმართავთ. შეხვედრიან მულახელ ახალგაზრდებს. ძალიან მოსწონებიათ მოსწავლე ხოჯელიანის ფერწერული ნამუშევარი „სვანეთი ღამით“ და ნადიკო ნავერიანის სიმღერები, რომლებიც გოგონას ჭუნირზე შეუსრულებია. ისინი დიდად აქებენ ახალგაზრდა პოეტის ვალერიან სალლიანის ლექსებსაც. სალლიანი ამჟამად კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს სოფელ ცხუმარში, ერთ-ერთ თავის ლექსში იგი სვანეთის მთათა პატიოსან თვალს — დიზის მარმარილოს უმღერის.



სურათებზე: ზემოთ — ახალი მესტიის ხედი; ქვემოთ — ბეჩოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბათალბე უშხვანი (მარცხნივ) და კოლმეურნე მიხეილ წერედიანი.

ლატალი მესტიის ქვემოთ, ლენჯერსა და ბეჩოს შუა მდებარეობს, კარგა მოზრდილი სოფელია, ორასორმოცდაათამდე კომლი იქნება. ლატალის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ რაიონში. აქაურ მეცხოველეებს პირველი ადგილი უჭირავთ. ჩვენი ჩასვლა გაეგოთ თუ არა, კინომექანიკოსი დავით ნიკოლოზიანი და კულტურის სახლის დირექტორი მაჰარბი გურგულიანი მოვიდნენ. კინოსურათები არ გვაკლია, მაგრამ, კარგი იქნება, თუ ახალ სურათებს ხშირად მივიღებთო, თქვა დავით ნიკოლოზიანმა. ეტყობა, აქ ძველისძველ ფილმებს უჩვენებენ.

ლატალის სასოფლო მაღაზიაში რამდენიმე ცალი ფოტოფირი ვიყიდეთ და ბეჩოში წავედით.

გზის დაბლა უზარმაზარი ტყიანი ხეობაა, გზისპირ ათასნაირი ფერადფერადი ყვავილი. პატარა მდინარე ლაჰილი ამ ხეობაში ერთვის მობუბუნე ენგურს. ლაჰილში ბევრი კალმახი ყოფილა... ავტობუსის ფანჯრიდან ყველაფერი კარგად არ ჩანს. აქ ნამდვილად ფეხით სიარული სჯობს.

ბეჩოს სასოფლო საბჭოს შენობა ორმა ქალიშვილმა — ციალა და ლეილა კვიციანებმა მიგვასწავლეს. ციალას ამ ორი წლის წინათ დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი და ახლა კოლმეურნეობის ერთ-ერთი ბურჯი ბრიგადირია. ბეჩოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ახალგაზრდა ბათალბე უშხვანი. ბათალბე ეკონომისტია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

ბეჩოელი კოლმეურნეები მეცხოველეობისა და მემინდვრეობის გარდა ცოტაოდენ მეფუტკრეობას მისდევენ (ყველაზე მეტი ფუტკარი ამ მხარეში ხაიშის ახლოს, სოფელ იდლიანში ჰყავთ). სვანეთის ბუნება ნამდვილად მეფუტკრეობისათვის არის ზედგამოჭრილი. (ოქროსთან და რკინასთან ერთად ძველი მემატიანეები სვანურ თაფლსაც იხსენიებენ). თანდათან ალბათ მეტი ყურადღება მიექცევა მეფუტკრეობას.

ბათალბე უშხვანი ამბობს, რომ აქვე, ბეჩოს ახლოს ყოფილა პატარა ღელე, რომელსაც „მკურნალ წყალს“ ეძახიან. ალბათ ამნაირ წყალზე ლაპარაკობს „თოვლისა და კოშკების ქვეყნის“ დამწერი ბორის კოვალევსკი, რომლისთვისაც სასაშელ (ქვემო სვანეთი) არსენ ონიანს უთქვამს, ვინც მდინარე ფიშყორში იბანავებს, იგი მარად ახალგაზრდა დარჩებაო. ფიშყორის წყალს იკვლევდა თურმე ერთი გერმანელი მეცნიერი კუპცისი (მას თბილისში ჰქონია ლაბორატორია). ფიშყორის წყალში რადიუმის ემანაციის 760 ერთეული ყოფილა, წყალტუბოსაში კი — 40.

...სვანეთზე დაუსრულებლად შეიძლება წერა, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს, მდიდარ და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავლის მხარეზე. მაგრამ ახალთან, გულგასახართან ერთად ზოგი რამ გულსატკენიც ვნახეთ, რაც თვალში ხვდება ადამიანს და ნამდვილად ხელს უშლის ამ ახალსა და გულგასახარელს

მესტიის მხარეში ამ რამდენიმე ხნის წინათ სამასამდე მურყვამი-კოშკი იყო აღრიცხული, ხოლო აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ჯერ კიდევ 1910 წელს იმოგზაურა სვანეთსა და ლეჩხუმში, უამრავი ბაზილიკური ნაგებობა და ძეგლი აქვს აღწერილი. დღეს ზემო სვანეთში ას ოცამდე კოშკილა თუ იქნება შემონახული.

შეიძლება გადაჭარბებული ნათქვამი იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ უამკოშკებოდ სვანეთი ველარ იქნებოდა ის სვანეთი, რომელსაც ესოდენ ვეტრფით. სვეტიცხოვლისა და ნიკორწმინდის გვერდით ისინიც მარად უნდა ამშვენებდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს... იმ გადარჩენილ ას ოც მურყვამს კი ნამდვილად აკლია ზრუნვა. უშგულის ოცდაჩვიდმეტი კოშკიდან მხოლოდ სამია გადახურული, დანარჩენები კი დღემდე ელოდებიან მზრუნველ ხელს. უშგულისაკენ მიმავალ გზაზე სოფელ იფარის მახლობლად, მდინარე ხალდეს წყალში უზარმაზარი კლდელოდი გდია. ამ ლოდზე ძველებს სასწაულებრივ აუგიათ მურყვამი, რომელსაც დანარჩენ კოშკებზე ნაკლებ არ ესაჭიროება მოვლა-პატრონობა. ერთი ამგვარი მურყვამი სოფელ ბეჩოშიც ყოფილა ძველათ. მაგრამ დღეს ამ უზარმაზარ ლოდზე (მდინარე დოლრაში) კედლის ნანგრევილა შემორჩენილა.

მესტიის ახლოს, სოფელ ლენჯერში დგას შესანიშნავი ისტორიული ძეგლი, რომელსაც „თარანზელს“ ეძახიან აქაურები. ამ ძეგლის კედლის მხატვრობას ჩვენმა მეცნიერებმა თავის დროზე მეტად მაღალი შეფასება მისცეს. ძეგლი მხატვრულია არა მარტო შიგნით, არამედ გარეთაც. გარეთა კედელზე გამოსახულია [illegible] „ძმანი მისნი“. პირველად „თარანზელი“ ამ ოთხი წლის წინათ ვნახეთ. როგორც შიდა, ისე გარეთა მხატვრობა ჯერ კიდევ მაშინ იყო დაზიანებული. ახლა კი კიდევ უარეს მდგომარეობაშია. მიხედვა უნდა სოფელ კალის კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიის მხატვრობასაც, რომელიც ქართული მონუმენტური ფერწერის შესანიშნავი ნაწარმოებია, შექმნილი დავით აღმაშენებლის კარის მხატვრის თევდორეს მიერ.

3.

მესტიაში ოცდაათ რიცხვში ჩავედით. პირველად, ცხადია, ბიბლიოთეკაში შევედით და ახალ გაზეთებს მივცვივდით. ახალიო, ვამბობ, თორემ სად იყო ახალი — ფოსტას იმ დღეს ოცდაშვიდის გაზეთები მოეტანა.

— ახლა კიდევ რა უშავს, ზამთარში უნდა ნახოთ, ხან ერთ კვირასაც იგვიანებს ჟურნალ-გაზეთები, კიდევ კარგი, რომ რადიოა.

ასე ამბობენ არა მარტო მესტიაში, არამედ ახლომახლო სოფლებშიც — ლენჯერში, ლატალში, ეცერში, მულახში, იფარში, წვირმში.

სოფელ უშგულში ფოსტალიონად ახალგაზრდა კოსტა ნიჟარაძე მუშაობს. ის არის ნამდვილად უშგულის დამაკავშირებელი ქვეყნიერებასთან. თავისი თეთრი ცხენით ორ დღეში ერთხელ ჩადის სოფელ ცანაში (რომელიც უშგულიდან ათ კილომეტრზეა) და იქიდან ამოაქვს ახალი ფოსტა. უშგულშიც კვლავ ოცდაშვიდის გაზეთები დაგვხვდა.

— დაზარება რა სათქმელია, ოღონდ ახალი იყოს რამ და დღეში ორჯერ ვივლი, — თქვა კოსტამ, — უთავბოლობაა და მეტი არაფერი, მესტიაშიც და ჩიხარეშშიც დღეში ათ-ათ გზას აკეთებენ თვითმფრინავები, მგზავრების გადმოყვანაც დიდი საქმეა და ფქვილის გადმოტანაც, მაგრამ განა ახალი წერილები და ჟურნალ-გაზეთები დაამძიმებთ?

თვითმფრინავის სიმძიმე იქით იყოს, ეტყობა, ზოგიერთებმა ცოტა მძიმე-მძიმედ იციან სოფლისათვის ზრუნვა!

როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში თითქმის ყველა სოფელშია კულტმაღაზია, მესტიასა და ლენტეხზე რომ არაფერი ვთქვათ. იმას ვერ ვიტყვით, რომ ამ მაღაზიებში წიგნები არ იყოს, მაგრამ აქაც უთავბოლობა თუ „მძიმე-მძიმე ზრუნვაა“ საქმეში ჩარეული.

ჯერ ერთი, მესტიას ნამდვილად არ შეეფერება ის პაწაწკინტელა ოთახი, რომელსაც წიგნის მაღაზია აწერია. აქ სივიწროვის გამო ერთმანეთშია არეული ყველაფერი. ხოლო წიგნები, როგორც ეტყობა, შემთხვევიდან შემთხვევამდე მოაქვთ. აგერ ლევ ტოლსტოის თხზულებათა დიდი აკადემიური გამოცემის სამოცდამეათე თუ სამოცდამეთორმეტე ტომი რუსულ ენაზე... დანარჩენი ტომები აქ თვალითაც არ უნახავთ. შალვა დადიანის თხზულებათა პირველი ორი ტომი კი კუთხეში უკულმა მიუწყვიათ... ყაზბეგის ორტომეულს წინ აჰფარებია ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ბიუროს მიერ გამოცემული დიდი ლურჯყდიანი წიგნი „საათები და სასაათო ფურნიტურა, კატალოგი“, რომელიც თურმე მეორე-მესამე წელიწადია რაც მიიღეს. არანაკლებ გაგვაკვირვა იმ ამბავმაც, რომ მშვენიერი სოფლის კალის კულტმაღაზიაში იმ პაწაწა თაროს, რომელზეც ვაჟა-ფშაველას „რჩეული“ ეწყო, აფარებული ჰქონდა ჭრელ-ჭრელი ფართლეული, ხოლო ყველაზე თვალსაჩინო ადგილას რეზინის ჩექმები გამოეკიდათ.

არა, ნამდვილად წარმოუდგენელია, რომ სვანეთში არ იყიდებოდეს ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები. მაგრამ ერთი კი ნათელია, რომ კულტმაღაზიის გამყიდველს, რომელსაც შეუძლია ლურსმანი ან რეზინის ჩექმები შესთავაზოს ადამიანს, ცოტად თუ ბევრად წიგნის ყადრიც უნდა ესმოდეს.

ხოჩა შუკუ ჯაარ, — გვეუბნებიან გზად მიმავალთ სვანები. მესტიიდან სოფელ კალამდე მანქანით მივდივართ, კალიდან უშგულამდე ცხენებით. გზად ოთხი ახალგაზრდა ინჟინერი გვხვდება: ვლადიმერ მამაჯანაშვილი, დავით ლომიძე, დევი დუნდუა, მერაბ ჟოდაძე, ისინი გზის მშენებლობაზე მუშაობენ. „რა კარგია, როცა კაცს გზა გაჰყავს“, — ვფიქრობ გულში, სვანეთში მაინც ყველაფერია გზა... ციხე-ქალაქი ერთ დღეს არ აშენებულა, მთავარია, რომ აქაც სულ უფრო მძლავრად იჭრება მშენებლობის სული.

დღეს სვანეთი ხარაჩოებმოუხსნელ ცათაზიდულ შენობას ჰგავს. მაგრამ აქ მარტო ახალი სახლები, ხიდები და გზები კი არ შენდება, არამედ ადამიანიც, რომელსაც წიგნის შუქით გაუგმირავს თეთრ ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი, ხოლო თავისი კუთხე-მიწაწყლის სიყვარული ამ თვალშეუდგამი მთებისათვის გადაუცდენია.

ამ ადამიანს სურს ყველაფერს დაატყოს თავისი ხელი, მარჯვე და გამრჯე ხელი, რომლითაც ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში უშენებია დღემდე თვალწარმტაცი ნაგებობანი, ხეზე ამოუკვეთია მთვარე და ჯიხვები, ხოლო კედლები მდინარისფრად და მზისფრად მოუხატავს.

გ. გოგიაშვილი.

მესტია-თბილისი
აგვისტო.

ფოტო ს. ონანოვისა.

საერთაშორისო ცხოვრება
დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

საირუს იტონი მოუწოდებს ამერიკულ გაზეთებს...
*
კონგოში გაიმარჯვებს სიმართლე!

იტონი: რას იტყოდით თქვენ?

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელმა მეწარმემ და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა საირუს იტონმა ყველა წამყვან ამერიკულ გაზეთს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოუწოდებს სამართლიანად და ობიექტურად გააშუქონ ნ. ს. ხრუშჩოვის როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის საქმიანობა.

იტონის წერილში ნათქვამია:

„თქვენ რომ ხრუშჩოვი ყოფილიყავით, რას იტყოდით თქვენს სიტყვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე?

მე მთელი სერიოზულობით მიმაჩნია, რომ ამერიკის ახლანდელ მეტად დახლართულ აზრში შეიძლებოდა მაქსიმალური სარგებლობით შეგვეტანა სინათლე, თუ პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები, ისე როგორც უბრალო ადამიანები სერიოზულად შეეკითხებოდნენ თავიანთ თავს: დააყენეთ თქვენი თავი ხრუშჩოვის ადგილზე: თქვენ ხართ ორასი მილიონი თავისი საქმის ერთგული და მშვიდობისმოყვარე ადამიანის ამაყი, ძლიერი ქვეყნის მეთაური.

თქვენ ჩამოდიხართ შეერთებულ შტატებში, რათა წარმოთქვათ ეს შესაძლებელია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სიტყვა თქვენს სიცოცხლეში, იმიტომ, რომ ნიუ-იორკი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური შტაბბინა — საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელშიც შედის თქვენი ქვეყანა და რომელსაც იგი არსებითად უწევს ფინანსურ დახმარებას.

ახლა გაიხსენეთ ადამიანებისა და მატერიალური სახსრების საშინელი დანაკარგი, რაც თქვენს ქვეყანას ორ მსოფლიო ომში მოუვიდა. ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ ატომგულის ყველაფრის დამფერფლავი განუზომლად უფრო დიდი საფრთხე და სულ უფრო ახალ და უფრო მომაკვდინებელ სახეობათა იარაღის შექმნისა და დაგროვების გამანადგურებელი ტვირთი განიარაღებას აუცილებელ საჭიროებად ხდის.

და, ბოლოს, იცოდეთ, რომ ყოველ სიტყვას, რომელსაც თქვენ წარმოთქვამთ შეერთებულ შტატებში, ეჭვით მოეპყრობიან და დაამახინჯებენ მას.

რას იტყოდით თქვენ?

მე მინდა, რომ შეერთებული შტატების ყველა გაზეთმა მოუწოდოს მოსახლეობის ყველა ფენის მკითხველებს წარმოადგინონ თავიანთი დიდად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი პასუხი ამ ძნელ საკითხზე“.

კონგოს ამბები

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, დღეს გაჩნდა მღელვარების ორი ახალი კერა კატანგის პროვინციაში, სახელდობრ ლუენაში, ქვანახშირის რაიონის ცენტრში, რომელიც 470 კილომეტრზე მდებარეობს ელიზაბეტვილიდან, და ბუკამაში, რომელიც ლუენას ჩრდილოეთით მდებარეობს. ბალუბას ტომის მეომრები ბრძოლას ეწევიან ჩომბეს მარიონეტული მთავრობის რაზმების წინააღმდეგ.

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, ქალაქი მანონო მთლიანად ბალუბას ტომის ხელშია, რომელიც აღდგა კატანგის მარიონეტული მთავრობის წინააღმდეგ. ეს ცნობა გამოაქვეყნა ჩომბეს „მთავრობის“ შინაგან საქმეთა მინისტრმა.

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). კატანგაში ძლიერდება გამოსვლა ჩომბეს მარიონეტული მთავრობის წინააღმდეგ. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან გადმოგვცემს, მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით ძლიერია ბალუბას ტომის გამოსვლები. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ელიზაბეტვილის ყველა კომუნიკაცია მანონოს (ჩრდილოეთი კატანგა) სამთამადნო რაიონთან შეწყვეტილია. მარიონეტული „მთავრობის“ წარმომადგენლის განცხადებით, მანონო მთლიანად ბალუბას ტომის ხელშია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აჯანყებული ტომები ბუკამაში ცდილობენ გადაჭრან რკინიგზის მიმოსვლა ელიზაბეტვილსა და კამინას შუა. ბუენაში დაიწყო აგრეთვე მოსახლეობის აჯანყება მარიონეტ ჩომბეს წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს ცენტრალური მთავრობის არმიის 300 ჯარისკაცი კატანგის პროვინციის ტერიტორიით წინ მიიწევს და მიაღწია ლუბანდის სადგურს, რომელიც 32 მილზე მდებარეობს კატანგის საზღვრიდან.

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან გადმოგვცემს, დღეს იქ გამოქვეყნდა კონგოს მთავრობის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას შემდეგი განცხადება:

„კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა ხალხს აცნობებს, რომ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი მობუტუ მოისყიდეს იმპერიალისტებმა, რათა მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, მიმართული კანონიერი და სახალხო მთავრობის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ეს მანევრები აღკვეთა ჩვენი ეროვნული არმიის მოქმედებამ, რომლის ჯარისკაცები მობუტუს რადიოთი გადაცემული განცხადების შემდეგ გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის დასაცავად, რათა თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი იმპერიალისტური აგრესიის შესაძლებლობა.

ხალხი, რომელიც მოწმე იყო ამ მანევრებისა, რომელთა მიზანია კონგო, ჩვენი წინაპრების მიწაწყალი მოაქციოს საერთაშორისო ორგანიზაციის ბატონობაში, და ამავე დროს არის კონგოს ზოგიერთი ხელმძღვანელის სხვადასხვა მანევრის ურყევი არბიტრი, საზოგადოებრივი სიმშვიდის ამ დამრღვევთა ასეთი მოქმედების ერთადერთი მსაჯულია.

თქვენ, ხალხმა, უნდა განსაჯოთ, თუ რამდენად გაიმარჯვებს ბოლოს და ბოლოს სიმართლე.

გაუმარჯოს ეროვნულ არმიას!

გაუმარჯოს კანონიერ მთავრობას, რომელიც ცნეს დეპუტატთა პალატამ და სენატორებმა!

გაუმარჯოს კონგოს რესპუბლიკას!

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ვითარება ლეოპოლდვილში თანდათან დაძაბული ხდება. სააგენტოების ცნობებით, კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა დღეს დილით მივიდა კონგოს ჯარების სამხედრო ბანაკ ლეოპოლდში, რომელიც მდებარეობს რესპუბლიკის დედაქალაქის ახლოს. ამავე ბანაკში განლაგებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განის ჯარები. როგორც სააგენტოების ცნობებიდან ირკვევა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს დაუკავშირდეს პოლკოვნიკ მობუტუს. სააგენტოები თავიანთ ცნობებში პირდაპირ უწოდებენ მას დასავლეთის მომხრე მოღვაწეს და ამტკიცებენ, რომ იგი თავისუფალია. მაგრამ კონგოს მთავრობამ უფრო ადრე გამოაცხადა, რომ მობუტუ დაპატიმრებულია.

რევანშისტული ისტერია

ბერლინი, 15 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა რევანშისტული შეხვედრები, რომლებიც მიეძღვნა ეგრეთწოდებულ „სამშობლოს დღეს“. ეს ღონისძიებანი, რომლებიც აშკარად მიმართულია რევანშისტულ განწყობილებათა გაღვივებისათვის, ეწყობოდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა წარმომადგენლების მხარდაჭერითა და მონაწილეობით. თავხედური მოთხოვნა იმ ტერიტორიების „შემოერთების“ შესახებ, რომლებიც ოდერ-ნეისეს საზღვრის აღმოსავლეთით, აგრეთვე „გერმანიის დასავლეთი საზღვრის იქითა მხარეს მდებარე დასავლეთის ტერიტორიების“ შემოერთების შესახებ, ბამბერგში გამოვიდა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მმართველი პარტიის ფუნქციონერი ოიტნერი.

რევანშისტთა იმავე შეკრებაზე ბამბერგში ამ ქალაქის ბურგომისტრმა შლოიერმა მოითხოვა „საარსებო სივრცე აღმოსავლეთში“ და მხარი დაუჭირა სხვის ტერიტორიების ძალით მიტაცების გეგმებს, რომლებსაც ბონელი გენერლები ადგენენ.

„ჩვენი მოთხოვნა გერმანიის აღმოსავლეთი ტერიტორიების დაბრუნების შესახებ სასიცოცხლოდ საჭიროა“, — მიუკიბავ-მოუკიბავად განაცხადა ბავარიის მთავრობის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მოხელემ ჰერგელმა თავის სიტყვაში რეგენსბურგის შეკრებაზე.

აშკარად რევანშისტული მოთხოვნები „სილეზიის, სუდეტის ოლქისა და აღმოსავლეთ პრუსიის დაბრუნების“ შესახებ წამოაყენა ესლაუში ამ ქალაქის პირველმა ბურგომისტრმა ფიშერმა.

რევანშისტული შეკრებანი, რომლებიც „სამშობლოს დღეს“ მიეძღვნა, გაიმართა აგრეთვე აშაფენბურგში, ნოიშტადტსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆

დემონსტრაციის დახვრეტა კატანგაში

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, ჩომბეს მარიონეტული მთავრობის ჟანდარმებმა, რომლებიც კამინიდან ჩამოვიდნენ, ქალაქ ლუენის ვოგზალზე დახვრიტეს დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ოპოზიციურმა პარტიამ „ბალუბაკატმა.“ მოკლულია 40 კაცი.

ბ. პ. კოირალა იქნება ნეპალის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე

როგორც კატმანდიდან იუწყებიან, ნეპალის პრემიერ-მინისტრი ბ. პ. კოირალა იქნება ნეპალის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

მარცხით დამთავრდა ამერიკის რაკეტის „ატლასის“ გაშვების ცდა

.როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანავერალის კონცხიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ცდამ გაეშვათ 15 სექტემბერს რაკეტა „ატლასი“ 9.000 მილის მანძილზე დამთავრდა მარცხით, რადგან უკანასკნელ წუთში ანთების შემდეგ გამოითიშა რაკეტის ძრავა. გაშვების ცდის დროს, ნათქვამია ცნობაში, რაკეტის საფუძვლიდან გამოვარდა ალი, მაგრამ რაკეტა დარჩა გასაშვებ მოწყობილობაზე.

იკედას მწარე წუთები

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, იაპონიის პრემიერ-მინისტრ იკედას, რომელიც დღეს წინასაარჩევნო ტურნეს ასრულებს იაპონიაში, მეტად არასასიამოვნო წუთების განცდა მოუხდა. ქალაქ ნაგოიაში ჩასვლისას მას შეხვდნენ ვაგზალში საპროტესტო დემონსტრაციით, რაც ადგილობრივმა სტუდენტებმა მოაწყვეს. სტუდენტები პრემიერისაგან მოითხოვდნენ უარი თქვას რეაქციული პოლიტიკის კურსის განხორციელებაზე და გააუმჯობესოს ხალხის ცხოვრება. როცა იკედამ უარი თქვა მათთან ლაპარაკზე, სტუდენტებმა, როგორც კორესპონდენტი იუწყება, „დაუწყეს ხელის კვრა პრემიერ-მინისტრს და ცდილობდნენ სასაქონლო პლატფორმაზეც კი შეეგდოთ იგი“. პრემიერ-მინისტრი გადაარჩინა პოლიციამ, რომლის გაძლიერებული რაზმები გამოიწვიეს ვაგზალში, რათა „ბრბოს ხელიდან გაეთავისუფლებინათ იგი“.

ასეთ შეხვედრას ახალ პრემიერ-მინისტრს პირველად როდი უწყობენ. როგორც წინათ ვიუწყებოდით, ოსაკაში, ფუკუოკაში, ტაკამაცუსა და სხვა ქალაქებში, რომლებშიც იკედა ჩავიდა, მოსახლეობამ მას მოუწყო საპროტესტო დემონსტრაციები და გამოთქვამდა უარყოფით დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის გაძლიერების კურსისადმი, რასაც მთავრობა ახორციელებს.

დღესვე ტოკიოში მოეწყო სტუდენტი ახალგაზრდობისა და მშრომელების გამოსვლები იკედას ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მისი გადადგომისა და ხელფასის მომატების მოთხოვნით.

ეს პრესის თავისუფლებაა?!

პარიზი, 15 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით პოლიციის ხელისუფლებმა მოახდინეს ყოველკვირეული „ფრანს-ობსერვატერის“ მორიგი ნომრის კონფისკაცია. კონფისკაციის მიზეზი გახდა ყოველკვირეულის მიერ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრ ფარჰატ აბასის ინტერვიუ, რომელმაც უარყო ალჟირის ომში „დაზავების“ დადების იდეა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამარი მოქმედების შეწყვეტა ალჟირში განუყოფელია პოლიტიკური საკითხების მოწესრიგებისაგან.

პოლიციამ მოახდინა აგრეთვე მეორე ყოველკვირეული „ექსპრესის“ მიმდინარე ნომრის კონფისკაცია ისეთი სტატიის გამოქვეყნებისათვის, რომელიც აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას ალჟირში.

მდგომარეობა რთულდება

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). როგორც აქ მიღებული ცნობებიდან ჩანს, ლეოპოლდვილის კავშირი გარე სამყაროსთან დარღვეულია და ინფორმაცია კონგოში მომხდარი ამბების შესახებ დიდი შეფერხებით მოდის. სააგენტოების ცნობების მიხედვით, მდგომარეობა კონგოს რესპუბლიკაში, კერძოდ თვით ლეოპოლდვილში, რთულდება სხვადასხვა დაჯგუფების საქმიანობის შედეგად, რომელთაგან ბევრი დაკავშირებულია კოლონიური წრეების პოლიტიკასთან. ამიტომ ცნობები ლეოპოლდვილიდან დიდად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ხშირად აგებულია ვარაუდებზე.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლი იუწყება, შეიარაღებული კონგოელი ჯარისკაცები დღეს გარს შემოერტყნენ პარლამენტს და არ შეუშვეს შიგ დეპუტატები და სენატორები. კორესპონდენტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ჯარისკაცები შესაძლოა მოქმედებდნენ პოლკოვნიკ მობუტუს მითითებით, რომელმაც წინა დღეს განაცხადა, რომ განზრახული აქვს ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება კონგოში.

პარლამენტარები, ნათქვამია იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ამ კორესპონდენციაში, რომელნიც ჯარისკაცებმა არ შეუშვეს პარლამენტის შენობაში, შეიკრიბნენ იქვე ახლო მდებარე პატარა პარკში და ცხარე დისკუსია გამართეს. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ მოწვეული არიან კასავუბუს მიერ, ზოგნი გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ პარლამენტის წევრები შეკრიბეს, რათა მოისმინონ ანგარიში კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მიეღწია ლუმუმბას და კასავუბუს „შერიგებისათვის“, ზოგნი ამბობდნენ, რომ პარლამენტარებმა უნდა დაამტკიცონ კონსტიტუციის შეცვლა კასავუბუს საბოლოოდ გადაყენების მიზნით.

ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოდის აგრეთვე პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას ადგილსამყოფლის შესახებ, ლუმუმბასი, რომელიც, როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, 15 სექტემბერს დილით მივიდა კონგოს ჯარების სამხედრო ბანაკ „ლეოპოლდ მეორეში“, სადაც მას იცავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განის ჯარები. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტის ცნობების მიხედვით, ლუმუმბამ დატოვა ბანაკი და ახლა იმყოფება თავის მუდმივ რეზიდენციაში ლეოპოლდვილში.

არავითარი ცნობა არ არის იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ყბადაღებული პუტჩის ორგანიზატორი პოლკოვნიკი მობუტუ, რომლის დაპატიმრებაც გამოაცხადა გუშინ კონგოს მთავრობის წარმომადგენელმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით უშიშროების საბჭომ განაახლა განხილვა საკითხისა კონგოს მდგომარეობის შესახებ. არგენტინის წარმომადგენელმა ამადეომ იკისრა კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული მოქმედებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და კონგოში მისი სპეციალური წარმომადგენლების საქმიანობის დამცველის არასახარბიელო როლი. იგი ამტკიცებდა, თითქოს კონგოში არ იყოს „ეფექტიანი კანონიერი“ ხელისუფლება, და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ უფლება განახორციელონ კონგოში ყოველგვარი საგანგებო ღონისძიებანი, რომლებსაც კი საჭიროდ მიიჩნევენ კონგოში „წესრიგის“ დასაცავად. იგი ცდილობდა დაეჯერებინა უშიშროების საბჭოს წევრები, რომ მთელი ხელისუფლება კონგოში უნდა გადაეცეთ ეგრეთწოდებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უოდსვორტმა სცადა პასუხი გაეცა სამართლიან კრიტიკაზე, რომელიც გუშინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გამოთქვა შეერთებული შტატებისა და ნატოში მათი მოკავშირეების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დაგ ჰამარშელდის მიმართ. იგი იცავდა დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ პოლიტიკას კონგოს რესპუბლიკის მიმართ, ბრალად სდებდა საბჭოთა კავშირს თავის მიერვე შეთხზულ რაღაც „ხრიკებს“.

უოდსვორტი ამართლებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის საქმიანობას კონგოში და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად უჭერენ მხარს ამ სარდლობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დაწესდეს კონტროლი კონგოს რესპუბლიკის აეროდრომების, ნავსადგურებისა და კავშირგაბმულობის საშუალებებისადმი.

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ გუშინ დღის სხდომაზე განაახლა კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვა.



— დალახვროს ეშმაკმა, ვერ გამიგია: ვიცავთ თუ ვებრძვით კონგოელებს?

ნახ. მხატვარ იანოშ ტერეკისა უნგრულ იუმორისტულ ჟურნალ „ლუდაშ მატიდან“.

ჩანგს უკრავს მარლენ თამლიანი და ღიღინებს სამშობლოს სადიდებელ ლექსს: უშბასა და ტეტნულდზე მაღალი ხარ მამულის ცაო, თანაც უძირო ხარ და [illegible], ამ ღვარქაფიან ენგურზე ძალუმია შენი სუნთქვა, ამ კლდეებსა და მთებზე მეტი ძალა აქვთ შენს შვილებს, ისინი ლომგულები არიან, ვეფხთა და არწივთა ჯიშოსანი... და სიმღერას გუგუნით იმეორებენ ხეობები.

თითქოს ამ სიმღერის ხმაზე შეიკრიბნენო, მოლზე ჩამომსხდარან ვაჟკაცები, ცხენები კი ნებაზე მიუშვიათ. მალე კვლავ წამოიშლებიან და ოპერატორი თავის საქმეს შეუდგება... თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ამჟამად მესტიის რაიონში იღებს მხატვრულ ფილმს, რომელსაც „ენგურის ნაპირებზე“ ეწოდება. მაყურებელი ამ სურათს საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავის დღეებში ნახავს.

ფოტო ხ. ონანოვისა და ა. ჩარკვიანისა.

ველორბოლა პოლონეთის ირგვლივ

ვარშავა, 15 სექტემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა პოლონეთის ირგვლივ საერთაშორისო ველორბოლის მეოთხე ეტაპი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 10 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. ოთხი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერია საბჭოთა სპორტსმენი ა. ვიარავასი. მისი დროა—18 საათი, 43 წუთი და 28 წამი. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე არიან ბელგიელი ველომრბოლელები, მეორეზე — საბჭოთა კავშირის ველომრბოლელები.

ვინ მოიგო „ვოლგა“, „მოსკვიჩი“?

გუშინ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ფულისა და ნივთების 1960 წლის მესამე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. სულ გათამაშდა 3.375.000 მანეთი თანხის 90.000 ნივთისა და ფულადი მოგება.

ცნობილი გახდა იმ ბილეთების ნომრებიც, რომლებსაც დიდი მოგება ხვდათ. ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა 45665 სერიის № 233 ბილეთს, „მოსკვიჩი“ — 47373 სერიის № 226 ბილეთს, 50083 სერიის № 101 ბილეთს და 50911 სერიის № 096 ბილეთს.

მღელვარება სამხრეთ როდეზიაში

ლონდონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის კოლონია სამხრეთ როდეზიაში გრძელდება მკვიდრი მოსახლეობის პატრიოტული გამოსვლები ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პროგრესული ელემენტების წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტის მოთხოვნით. დღეს ლონდონის გაზეთები იუწყებიან ახალ მასობრივ მღელვარებას კოლონიაში. აფრიკის რეზერვაციაში სოლსბერის — სამხრეთ როდეზიის მთავარი ქალაქის მახლობლად რამდენიმე ათასი აფრიკელი გარს შემოერტყა პრემიერ-მინისტრ უაიტჰედის მანქანას და გაიძახოდა „ჩვენ მოვითხოვთ თავისუფლებას“. ქვა დაუშინეს პრემიერის მანქანას, როცა იგი პოლიციის გაძლიერებული ესკორტით ტოვებდა რეზერვაციის ტერიტორიას. პოლიციამ დაიწყო დემონსტრანტების გაფანტვა, რისთვისაც იხმარა ცეცხლსასროლი იარაღი და ცრემლმდენი გაზის ყუმბარები. პოლიციის ხელისუფლებმა მოახდინეს დაპატიმრება აფრიკელთა შორის.

ამა წლის ზაფხულში სამხრეთ როდეზიაში, როგორც ცნობილია, წარმოებდა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამი ხელმძღვანელის დაპატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ სამხრეთ როდეზიაში.

გაფრინდაშვილი ლიდერობას ინარჩუნებს

ქალთა საკავშირო გროზნოს ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი თამაშობდა იმუტკინას წინააღმდეგ. პარტია ქართველმა მოჭადრაკემ ძლიერად ჩაატარა და ოცდამეთხუთმეტე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. მანანა ტოგონიძე შეხვდა კოზლოვსკაიას. პარტია გადაიდო. მ. ტოგონიძეს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ მოსალოდნელია ყაიმი. ლიაპუნოვამ მოუგო გრაჩოვას, ესტერკინამ — შპიკენს. ორავისა და კურეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ გაიმართა მერვე ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა და ნ. გაფრინდაშვილი. ისინი ოცდამეთექვსმეტე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. კოზლოვსკაიამ ძლიერად ჩაატარა შეხვედრა იმუტკინას წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ლიაპუნოვა - კურეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ტოგონიძისა და შპიკენეს პარტია გადაიდო ტოგონიძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მერვე ტურის შემდეგ გაფრინდაშვილს 8 შესაძლებლიდან აქვს 7 ქულა, რუბცოვას 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, კოზლოვსკაიას 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტოგონიძეს 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

დღეს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

სპორტული ქრონიკა

საერთაშორისო შეხვედრა. მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ნაკრები. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

დუბლიორთა პრიზი. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების დუბლიორებისათვის დაწესებულ პრიზზე 15 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა მატჩი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც 3 სექტემბერს გაიმართა, ფრედ დამთავრდა.

სპორტის ამბები

გამარჯვებული მეორე მატჩს უნდა გამოევლინებინა. თამაში მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 და გადაეცათ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი.

ველოსიპედისტთა პირველობა. ხარკოვში „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა ველორბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ორასამდე უძლიერესი სპორტსმენი, მათ შორის მეჩვიდმეტე ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორები. შეჯიბრების პირველ დღეს ველოდრომზე 500 მეტრზე რბოლაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი გალინა ერმოლაევამ მოიპოვა.

ამინდი

18 და 19 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 21-26 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 16-21 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 20-25 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 6-11, დღისით 16-21 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

17 სექტემბერი

თეატრები: მოსკოვის ბოშათა თეატრის „რომენის“ გასტროლები — „გატეხილი შოლტი“ (ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — დამოკლეს მახვილი (სეზონის გახსნა, პრემიერა), **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუტსკის ისტორია (სეზონის გახსნა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბ. № 14, დილის 10 ს.), **თოჯინების ქართული** — მზეჭაბუკი (11 ს.).

ტელევიზია: 18.30 — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ № 18, 19.10 — კინოჟურნალი, 19.20 — გადაცემა „შვიდწლედის მოწინავე ადამიანები, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — გადაცემა „8 დღე ჯილატაუს კედელზე“, 20.00 — კინოვიქტორინა, 20.30 — ახალი ამბები, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი — „ახალი დღე“ (II სერია).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04278 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.